ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 18 დეკემბერი, 2019

№299 (8253)

ფასი: 60 თეთრი

## 15 წლის მოზარდი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ თვითმკვლელობა ცადა, საავადმყოფოში გარდაიცვალა



გვ.2

17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები




ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი

# „ივანიშვილმა თავისი დრო მოჭამა“



გვ.5

## ლევან ხაბეიშვილი: „ერეკლე კუხიანიძეს ოჯახი განუდგა, მაგრამ პოლიცია და „ოცნება“ იცავს“

„სანამ ეგ კაცი საკრებულოში იქნება, ყველა საკრებულოს სხდომა, ყველა მათი შეკრება პროტესტისა და ხმაურის ფონზე ჩაივლის“



გვ.3

## გია ხუხაშვილი: „ამერიკამ „ოცნებას“ ყვითელი ბარათი აჩვენა. თუ ასე გაგრძელდა, წითელს აჩვენებს“




გვ.4

„რა უნდათ? ხუნდაძის ისტორია შეჭამონ კონგრესმენებმა?! ასეთი იდიოტები ჰგონიათ ისინი?! ამის ხომ არავის სჯერა, არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ“



გვ.3

## მინისტრი ციხელაშვილი უნდა გადადგეს!

სოსო ცინცაძე: „პუტინის „ბროლის ოცნება“, საქართველოს პირველ პირს ერთი ერთზე დაელაპარაკოს“

## გურამ ვახტანგაშვილი: „საოკუპაციო ხაზთან 21-ე საუკუნის ლექიანობაა“



გვ.3

ISSN 1987-9385

2 „გოკა გაბაშვილს სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება“

5 რუსთავში ცოლზე სექსუალური ძალადობის მცდელობის გამო კაცი დააკავეს

2 ბექა დავითულიანი: „ერეკლე კუხიანიძემ ჩვენთან შეხვედრისას მოიხადა ბოდიში და მე არ ვამბობ, რომ ეს ბოდიში საკმარისია“

6 ვინ დგას ჟურნალისტ შერემეტის მკვლელობის უკან?!

# „გოკა გაბაშვილს სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება“



„ევროპული საქართველოს“ წევრი გივი თარგამაძე სოციალურ ქსელში წერს, რომ გოკა გაბაშვილს აეროპორტში მასზე განხორციელებული თავდასხმის გამო სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება.

– გუშინდელი და დღევანდელი დღე დავუთმეთ აეროპორტში თავდასხმის შედეგად გოკა გაბაშვილის დაზიანებების სამედიცინო კვლევას.

სურათი საკმაოდ მძიმეა: გაგლეჯილია მედიალური და ლატერალური მენისკები, ასევე, წინა ჯვარედინი იოგი. მედიალურ-ლატერალური იოგიც ძალზე დეფორმირებულია. დაზიანებულია წვივის ძვალი. კუნთები დაბეჟილია. სახსრის ფოსოდან ამოიღეს ნახევარ ლიტრამდე ჩაქცეული სისხლი. აუცილებელია ოპერაცია და რეაბილიტაციის კურსი.

ქოცებო, გოკას რომ აზარალებდით, საკრებულოში დღევანდელი ამბებიც განსჭვრიტეთ? ეჰ, არადა, რა სიამოვნებით ვნახავდი თქვენს ბუმბულს, – წერს გივი თარგამაძე სოციალურ ქსელში.

ცნობისთვის, 11 დეკემბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ინციდენტი მოხდა, რა დროსაც „ევროპული საქართველოს“ ლიდერებს გიგი უგულავასა და გოკა გაბაშვილს აეროპორტის საპასპორტო კონტროლის ზონაში თავს ორი პირი დაესხა – საბა (ბადრი) გავაშელიშვილი და დავით პარკაძე.

# 15 წლის მოზარდი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ თვითმკვლელობა ცადა, საავადმყოფოში გარდაიცვალა



15 წლის მოზარდი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ თვითმკვლელობა ცადა, საავადმყოფოში გარდაიცვალა. ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ იაშვილის კლინიკის პრესსამსახურში დაუდასტურეს.

როგორც ცნობილია, 10 დეკემბერს „112“-ზე განხორციელებული შეტყობინების სა-ფუძველზე თბილისში, „მწვანე სკოლის“ შიდა და გარე ტერიტორიაზე გაკეთებული წარწერების ფაქტზე გამოძიება დაიწყო. პოლიციის განყოფილებაში მოწმის სახით მშობელთან ერთად გამოიკითხა არასრულწლოვანი პირი, ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლე, რომელმაც უარყო „მწვანე სკოლის“ კედლების მოხატვა.

არსებული ინფორმაციით, ამის შემდეგ არასრულწლოვანმა თვითმკვლელობა ცადა. მოზარდის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს.

# გორის მე-5 სკოლის დირექტორი ერეკლე კუხიანიძეს ეთანხმება

„კუხიანიძემ პირდაპირ და გაბედულად თქვა ის, რასაც ძალიან ბევრი თვითონ ფიქრობდა, მაგრამ ხმამაღლა თქმას ვერ ბედავდა“, – ამის შესახებ კომენტარი გორის მე-5 საჯარო სკოლის დირექტორ ზურაბ ქარელის პროფილიდან გააკეთა.




კომენტარი სკოლის დირექტორმა რადიო თავისუფლების ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიის დაურთო. სტატიის მიხედვით, თბილისის საკრებულოს წევრის, ერეკლე კუხიანიძის სამუშაო კაბინეტთან არსებულ აბრაზე ელენე ხოშტარიამ დაწერა: ,,ღორი, ნაძირალა“.

ერეკლე კუხიანიძე, როგორც აღვნიშნეთ, თბილისის საკრებულოს წევრია. მან საოკუპაციო ძალების მიერ გატაცებული ექიმის ვაჟა გაფრინდაშვილისა და მისი ოჯახის მისამართით შეურაცხმყოფელი პოსტი 13 დეკემბერს გაავრცელა და მათ „პროვოკატორები“ და „იდიოტები“ უწოდა.

ერეკლე კუხიანიძემ მორიგი პოსტი ვაჟა გაფრინდაშვილის შესახებ მან 15 დეკემბერს გამოაქვეყნა და თქვა, რომ საზოგადოების ნაწილს ღრმა ფსიქიკური აშლილობა აქვს. ამ მიმართულებით ერეკლე კუხიანიძე სოციალურ ქსელ ფეისბუკში აქტიური იყო 16 დეკემბერსაც, როდესაც მან ვაჟა გაფრინდაშვილთან დაკავშირებით ცხინვალის ე.წ. უშიშროების სამსახურის ვერსია გაავრცელა.

– ეს ყველაფერი ნამდვილად არ ვიცოდი და ძალიან უცნაური კალეიდოსკოპი იხატება ნელ-ნელა, – წერს ის ფეისბუკზე, თუმცა თავად გაზიარებული ინფორმაცია ამჟამად უკვე აღარ არის ხელმისაწვდომი.

# ლიბიაში დაკავებული 2 ქართველი მეზღვაური პატიმრობიდან გათავისუფლდა

ლიბიაში დაკავებული 2 ქართველი მეზღვაური პატიმრობიდან გათავისუფლდა. ამის შესახებ ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ვლადიმერ კონსტანტინიდმა განუცხადა.

მისივე თქმით, მეზღვაურები საქართველოში უახლოეს პერიოდში დაბრუნდებიან.

– ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ მეზღვაურები ლიბიაში. ჩვენ დავუკავშირდით ადგილზე ადვოკატს. ჩვენი საელჩო აქტიურადაა ჩართული ამ პროცესში. პირველ რიგში გავარკვიეთ, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ლიბიაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარების ფონზე, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ისინი უკვე იმყოფებიან სასჯელაღსრულებითი დაწესებულების გარეთ და უახლოეს დღეებში გამოემგზავრებიან საქართველოში. ქართველი მეზღვაურები 2017 წელს დააკავეს. მათ ლიბიის სასამართლომ წაუყენა ბრალდება მათ შორის, ნავთობის უკანონო გადაზიდვა, ლიბიის ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ შესვლა და ლიბიელი ხალხისთვის ეკონომიკური ზარალის მიყენება. შემდეგ დარჩათ მხოლოდ ნავთობის უკანონო გადაზიდვა და მიესაჯათ 6-თვიანი პატიმრობა და დაახლოებით 1.3 მლნ დოლარის ექვივალენტი იყო ჯარიმა. საგარეო საქმეთა სამინისტრო მეზღვაურების დაკავების პირველივე დღიდან აქტიურად იყო ამ პროცესში ჩართული. ავამუშავეთ ყველა დიპლომატიური და სამართლებრივი ბერკეტი. ჩართული იყო ყველა საელჩო. ჯარიმა არ გადახდილა. ეს სანქციაც მოიხსნა ადვოკატის აქტიურობით, – განაცხადა კონსტანტინიდმა.



კონსტანტინიდის თქმით, პროცესში საზღვაო სატრანსპორტო ადმინისტრაციაც იყო ჩართული.

# სალომე ზურაბიშვილი: „ზოგჯერ უცხოეთში ჩვენი ქვეყნის ორიენტაციაზე დეზინფორმაცია ვრცელდება“

მსოფლიო არ უნდა გვიცნობდეს მხოლოდ კონფლიქტების ჭრილში, მხოლოდ ამით არ უნდა გვსაზღვრავდნენ, უნდა გვიცნობდნენ, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სრულყოფილ წევრს, მაშასადამე, როგორც ქვეყანას, რომელიც ჩართულია ყველა გლობალურ გამოწვევასთან ერთობლივ ბრძოლაში, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „ელჩების კონფერენციის“ მონაწილე ქართველი დიპლომატებისადმი სიტყვით მიმართვისას განაცხადა.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, კონფლიქტის გადაწყვეტისთვის ორი გზა არსებობს – ან ძალა, ან დიპლომატია. საქართველომ ძალის გამოყენებაზე უარი თქვა, დიპლომატია კი პატარა ქვეყნის მთავარი ინსტრუმენტია.

– არ შემიძლია, არ გავამახვილო ყურადღება იმაზე, რაც ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული საკითხია – ეს არის გაყოფილი ქვეყანა, საოკუპაციო ხაზი ოკუპირებული ტერიტორიები და ტყვეობაში მყოფი მოსახლეობა. ეს წარმოადგენს ჩვენს ყველაზე დიდ და ყოველდღიურ უფრო და უფრო მძიმე გამოწვევას. ვაჟა გაფრინდაშვილის ირგვლივ მხოლოდ ქვეყნის სრული ერთსულოვნება და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორებთან ერთობლივი ძალისხმევა გამოიტანს შედეგს და იქნება ასეთი შედეგი. ჩვენ ყველგან და ყოველთვის უნდა დავიცვათ ქვეყნის ინტერესები და წითელი ხაზების არაღიარება არ შეიძლება. თუმცა, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ეს იზოლაციას არ გულისხმობს. ჩვენ ყველა ფორმატი უნდა გამოვიყენოთ, გავაცოცხლოთ, რათა იყოს შედეგზე ორიენტირებული და არა შეხვედრა შეხვედრისთვის, რამეთუ კონფლიქტის გადაწყვეტისთვის ორადორი გზა არსებობს – ან ძალა, ან დიპლომატია. ჩვენ ძალის გამოყენებაზე უარი ვთქვით, დიპლომატია კი პატარა ქვეყნის მთავარი ინსტრუმენტია. თქვენ ამ გზის ავანგარდში ხართ და ერთად მეტს უნდა მივაღწიოთ, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

სალომე ზურაბიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ „ჩვენი გზა ევროპისა და ნატოსკენ ნათელი და უცვლელია“ და საქართველოს მოსახლეობა სხვა არჩევანს ვერ გააკეთებს.

– მსოფლიო არ უნდა გვიცნობდეს მხოლოდ კონფლიქტების ჭრილში, მხოლოდ ამით არ უნდა გვსაზღვრავდნენ. უნდა გვიცნობდნენ, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სრულყოფილ წევრს, მაშასადამე, როგორც ქვეყანას, რომელიც ჩართულია ყველა გლობალურ გამოწვევასთან ერთობლივ ბრძოლაში. ჩვენი გზა ევროპისა და ნატოსკენ ნათელი და უცვლელია, ნატოსა თუ ევროკავშირის შიდა გამოწვევები ჩვენზე ვერ იქონიებს გავლენას და არ შეგვაცვლევინებს გეზს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ კონსტიტუციაში გვიწერია ამ მიზანზე, არამედ იმიტომ, რომ რეალობაში არ არსებობს სხვა გზა, ამ გზის რამე ალტერნატივა, თავისუფალი განვითარების სხვა პერსპექტივა. ამიტომ საქართველოს მოსახლეობა სხვა არჩევანს ვერ და არ გააკეთებს. ვწუხვარ, რომ ზოგჯერ ვრცელდება უცხოეთში ჩვენი ქვეყნის ორიენტაციაზე დეზინფორმაცია. დეზინფორმაცია, რომ თითქოს საქართველო ორიენტაციას იცვლის. ვფიქრობ, რომ ელჩისა და მთლიანად საელჩოს მოვალეობაა იყოს სადარაჯოზე და აქტიურად ებრძოლოს დამახინჯებულ ინფორმაციებს ქვეყნის სახის იმიჯის შეცვლა და მისი დამახინჯება ვერავინ უნდა გაბედოს, – აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

# ბექა დავითულიანი: „ერეკლე კუხიანიძემ ჩვენთან შეხვედრისას მოიხადა ბოდიში და მე არ ვამბობ, რომ ეს ბოდიში საკმარისია“



საკრებულოში „ქართული ოცნების“ წევრ ბექა დავითულიანის განცხადებით, საკრებულოს დეპუტატ ერეკლე კუხიანიძეს ვაჟა გაფრინდაშვილთან დაკავშირებით აგრესიული განცხადებების გაკეთების უფლება არ ჰქონდა და მან მმართველ გუნდში ამის გამო ბოდიში მოიხადა, თუმცა, დავითულიანის თქმით, ეს საკმარისი არ არის. როგორც ბექა დავითულიანმა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან ერთად, ოპოზიციის ლიდერებთან, ელენე ხოშტარიასა და ხატია დეკანოიძესთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე უმრავლესობის სხდომა გაიმართება და მმართველი გუნდი შეხვედრის გამართვასა და კუხიანიძესთან დაკავშირებით თავად მიიღებს გადაწყვეტილებას და არა „ვიღაცის მოთხოვნის გამო“. ამასთან, დავითულიანი სხდომის თარიღს არ აანონსებს.

– საოკუპაციო რეჟიმის მიერ ტყვეობაში მყოფი ადამიანის და მისი ოჯახის მიმართ ყოველგვარი ემოციური, მითუმეტეს, აგრესიული განცხადების გაკეთების უფლება არავის არ აქვს, არც ერეკლე კუხიანიძეს არ ჰქონდა ამის უფლება. ერეკლე კუხიანიძემ ჩვენთან შეხვედრისას მოიხადა ბოდიში და მე არ ვამბობ, რომ ეს ბოდიში საკმარისია. ამ საკითხზე უმრავლესობის გადაწყვეტილება იქნება უმრავლესობის გადაწყვეტილება.

სხდომა ჩატარდება მაშინ, როდესაც ჩვენ მივიჩნევთ საჭიროდ და არა მაშინ, როცა ისინი მოგვთხოვენ. ჩვენ მივიღებთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია სწორად ჩვენი შინაგანი რწმენით და არავითარ შემთხვევაში გადაწყვეტილებას არ მივიღებთ ვიღაცის მოთხოვნის გამო. უმრავლესობის სხდომის ანონსს არ გავაკეთებთ, რათა ასეთი სპექტაკლი არ დაიდგას, – განაცხადა დავითულიანმა.

# ადვოკატი: „ზურაბ ბუდაღაშვილი სამარტოო საკანშია. არსებობს რისკი, რომ მას ფსიქიკური აშლილობა განუმეორდეს“

20 ივნისის საქმეზე ერთ-ერთი დაკავებულის ზურაბ ბუდაღაშვილის ადვოკატ ვახტანგ იაშვილის განცხადებით, ბუდაღაშვილის მოთხოვნა სამარტოო საკნის შეცვლასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა, თუმცა დაკავებული ისევ სამარტოო საკანში გადაიყვანეს.

– იმ საკანს, საიდან გადაყვანასაც ვითხოვდით რიგი მიზეზების გამო, არაადამიანური მდგომარეობაში ყოფნის გამო, ემიჯნება და ესაზღვრება ეს საკანი, მაგრამ ისეთივე სამარტოოა, მიუხედავად იმისა, რომ ექვსი კაცის ადგილია იქ. არანაირი შესაძლებლობა არ აქვს ინფორმაციის მიღების, არ არის ტელევიზორი, რადიო, უფრო მეტად დაზიანებულია კედლები. რისკი იმისა, რომ მას განუმეორდეს ფსიქიკური აშლილობა, არსებობს. მან თავის დროზე განაცხადა, რომ თავს მოიკლავდა, რისკი ასეთი გადაწყვეტილების მიღებისა ყოფილი პაციენტების მიმართ ასეთ ვითარებაში, ბევრად მეტია. გაუგებარია, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება ციხის ადმინისტრაციამ. ისმის კითხვა, ხომ არ არის ეს ზემოქმედება, თავის დროზე ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანზე, რომელიც ახლა უკეთ იმყოფება? – განაცხადა ვახტანგ იაშვილმა.



ცნობისთვის, 20 ივნისს დაკავებულებს ბრალად ედებათ ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობა, რასაც თან ახლდა რბევა, ძალადობა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა. აღნიშნული ბრალი 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.




შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57


ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ხაბეიშვილი: „ერეკლე კუხიანიძეს ოჯახი განუდგა, მაგრამ პოლიცია და „ოცნება“ იცავს“

## „სანამ ეგ კაცი საკრებულოში იქნება, ყველა საკრებულოს სხდომა, ყველა მათი შეკრება პროტესტისა და ხმაურის ფონზე ჩაივლის“

ნონა ცაბაძე

გუშინ მოვლენების ეპიცენტრმა პარლამენტიდან თბილისის საკრებულოსთან გადაინაცვლა. ოპოზიცია და სამოქალაქო აქტივისტები ერეკლე კუხიანიძის საკრებულოში დარჩენას აპროტესტებდნენ. ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კუხიანიძის ბოდიში ამ ყველაფრისთვის საკმარისია.

„ახალი თაობის“ კითხვებს **ლევან ხაბეიშვილი** პასუხობს.

***– თბილისის საკრებულოში ერეკლე კუხიანიძის საკითხი ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ დღის წესრიგიდან მოხსნა. საკრებულოში განაცხადეს, მანდატს ვერ შევუჩერებთ, ამის ბერკეტი არ გვაქვსო.***

– შვილმა და ოჯახის წევრებმა უფრო მალე უარყვეს ეს კაცი, ვიდრე „ქართული ოცნების“ წევრებმა. შვილმაც კი მამას უთხრა, რომ ის ემიჯნება მის განცხადებებს. შვილმა უფრო მკაფიოდ დააფიქსირა მისი პოზიცია, ვიდრე „ოცნების“ წევრებმა. „ქართული ოცნების“ უმრავლესობას, ფაქტობრივად, ოთხი დღე ჰქონდა იმისთვის, რომ სანამ მანდატს დაატოვებინებდნენ, შეეძლოთ, რამდენიმე წუთში მიეღოთ გადაწყვეტილება და თანამდებობიდან გადაეყენებინათ ეს კაცი! ოჯახი განუდგა ამ კაცს და, სამაგიეროდ, პოლიცია და „ოცნება“ იცავს.

***– ვემიჯნებით მის განცხადებებსო.***

– სად ჩანს, რომ ემიჯნებიან?! სიმართლე ვერ აიტანეს, გამომაგდეს საკრებულოდან და ოთხივე კარი ჩამირაზეს, რომ ვერ შევიდე. მე აქ ვმუშაობ. რის გამო გამომიყვანეს ძალის გამოყენებით?! ვაჟა გაფრინდაშვილი თვეზე მეტია, ტყვეობაშია. არ ვიცით, რა მდგომარეობაშია და ტყვედ ჩავარდნილ კაცს კუხიანიძემ წიხლი მიაყოლა! ჩვენ ამას ვაპროტესტებთ. ეს არ არის პოლიტიკური საკითხი. ეს არ არის პარტიული საკითხი. ეს არის სახელმწიფოებრივი საკითხი. ნებისმიერ ღირსეულ ქვეყანაში კუხიანიძეს მხოლოდ შვილი და ოჯახის წევრები კი არ უარყოფდნენ, მთელი საზოგადოება გარიყავდა, ქვეყნიდანაც კი გააგდებდნენ! ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი „ქართული ოცნება,“ ბიძინა ივანიშვილი, თეა წულუკიანი – ყველა გადაეფარა მას.

***– გუშინ თქვენ დააბოქლომეთ საკრებულო.***

– დიახ ეს გავაკეთე სიმბოლურად. ეს შენობა არის ქაჯეთის ციხე. ეს არის ჩრდილოეთ კორეა, სადაც არც ერთი სახელმწიფო უწყება არ ფუნქციონირებს! მხოლოდ ერთი ნაძირალა ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებზეა ყველაფერი. დაგვპირდა საკრებულოს თავმჯდომარე საკითხის განხილვას და, მანდატის დატოვებას ვინ დაეძებს, თანამდებობიდანაც კი არ გაათავისუფლეს ეს ნაძირალა კუხიანიძე, იმიტომ, რომ ბიძინას უნდა ასე!

***– რა თანამდებობა უკავია კუხიანიძეს საკრებულოში?***

– ეს კაცი, გარდა იმისა, რომ საკრებულოს წევრია, თანამდებობის პირია, გარემოს დაცვის კომისიის ხელმძღვანელია. შესაბამისად, როდესაც ემიჯნებიან რაღაც განცხადებებით, რომ ვითომდა სოლიდარულები არიან ვაჟა გაფრინდაშვილის მიმართ და მეორე ხელით ამ კაცს თანამდებობაზე ტოვებენ, სწორედ ესაა დასტური იმისა, რომ ეს არის „ქართული ოცნების“ პოლიტიკა, ის ხაზი, რომელსაც ისინი ატარებენ. მინიმალურად რომ დასაჯონ, ისიც კი არ უნდათ. გამოვიდა წულუკიანი და თქვა, ეს კაცი თანამდებობიდანაც კი არ უნდა გადადგეს, ეს გამოხატვის თავისუფლებააო. იუსტიციის მინისტრი რაღაც მინიმალურ კანონებში მაინც ხომ უნდა ერკვეოდეს. გარდა ამორალური და ანტისახელმწიფოებრივი განცხადებისა, კუხიანიძემ კანონიც დაარღვია.

***– კერძოდ?***

– საჯარო სამსახურის შესახებ 72-ე მუხლში შავით თეთრზე წერია, რომ საჯარო მოხელე ვალდებულია, არ მოიმოქმედოს ისეთი რამ, რაც რეპუტაციულად დააზიანებს საჯარო სამსახურს. თუ წულუკიანი თვლის, რომ რეპუტაციაც კი არ დააზარალა, ანუ ის იზიარებს ამ განცხადებებს. ამავე მუხლში წერია, რომ მოხელე ვალდებულია, ემსახუროს ხალხსა და სახელმწიფოს ინტერესებს. ეს პუნქტიც დარღვეულია! შესაბამისად, მარტო ამ საჯარო სამსახურის შესახებ 72-ე მუხლის შესაბამისად უწევდა კუხიანიძეს, მინიმუმ, თანამდებობიდან გაშვება. ეს კი არ გააკეთეს.

***– ორშაბათს, დღის ბოლოს, ერეკლე კუხიანიძემ ბოდიში მოიხადა.***

– რა ბოდიში მოიხადა, მთელი საღამო ტელევიზიის ეთერიდან საძაგლობები იძახა. ბოდიში მოიხადა კი არა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი აგენტი იყოო. მეტი სისულელე რა უნდა მოყვეს კუხიანიძემ?! ვის რაში სჭირდება ბნელი კუხიანიძის ბოდიში. რაც მეტი ილაპარაკა, უამრავი სისულელე წამოაყრანტალა.



***– კუხიანიძე აცხადებს, ტყუილად დავუპირისპირდით რუსებსო. ეს კაცი, როგორც ჩანს, ოფიციალურად რუსული ხაზის გამტარებელია და ამას არც მალავს.***

– როგორც ბიძინა ივანიშვილი და გახარია არიან პრორუსები, ისე არის ეს კაციც.

***– იმ განსხვავებით, რომ კუხიანიძე არ მალავს და ღიად საუბრობს ამაზე.***

– კი ბატონო, ასეა. „ქართულ ოცნებაში“ როგორ არის, იცით? ვიღაცას კარგი როლი შეხვდა, ვიღაცას – ცუდი. როგორც პროპორციულის ჩაგდებაზე იყო, ვიღაცებს ბიძინასგან შეხვდათ კარგი როლი, ჩვენ გვინდა პროპორციულიო, ვიღაცებს კი – ცუდი როლი და ჩააგდეს. ივანიშვილი ხომ ასე უყურებს მათ, როგორც მონებს. მონები არიან, აბა რა. გუშინ საკრებულოს თავმჯდომარემაც იგივე თქვა, მე ვემიჯნები ამ განცხადებებს, არ მომწონს, მაგრამ უნდა დაველოდო პოლიტიკური ძალების გადაწყვეტილებას კუხიანიძეზეო. არ მოეწონა განცხადება, ფორმალურად საკრებულოს თავმჯდომარეცაა, მაგრამ თან არ არის, არაფრის უფლება არ აქვს. კაცი ამბობს, არც მე მომწონსო. ვეუბნებით, თუ არ მოგწონს, ხელი მოაწერე ამ შენს სიტყვასო და ის ვერ აწერს, ელოდება, ზემოდან რას უბრძანებენ.

***– რა პოზიციას დაიკავებს საკრებულოს ოპოზიცია?***

– ჩვენ გავაგრძელებთ მწვავე პროტესტს. მე დავპირდი მაგათ და არა მარტო მე, სამოქალაქო აქტივისტების დამოკიდებულებაც ასეთია, რომ სანამ ეგ კაცი საკრებულოში იქნება, ყველა საკრებულოს სხდომა, ყველა მათი შეკრება ჩაივლის პროტესტისა და ხმაურის ფონზე. მშვიდად ეს კაცი ვერ გადაადგილდება ვერც საკრებულოში და საკრებულოს ცხოვრებაც ვერ გაგრძელდება ძველი რეჟიმით ძალიან მარტივი მიზეზის გამო, ჩვენ სახელმწიფოზე ვლაპარაკობთ, ქვეყანაზე ვლაპარაკობთ და რაზე უნდა ვიმსჯელო მათთან ერთად, როგორი ბიუჯეტი გვექნება?!

***– როგორ ფიქრობთ, ერეკლე კუხიანიძის პირადი აზრია ეს ვაჟა გაფრინდაშვილზე თუ დაავალეს, მსგავსი რამ დაეწერა?***

– ეს არის „ქართული ოცნების“ პოლიტიკის შედეგი და ეს კაცი ახმოვანებს იმას, რასაც „ქართულ ოცნებაში“ ფიქრობენ. სხვაგვარად წარმოუდგენელია. ასე რომ არ იყოს, ეს კაცი ასე დაჟინებით არ გააგრძელებდა ამაზე საუბარს და მით უმეტეს ამდენ ხანს არ იქნებოდა „ქართული ოცნების“ წევრი და თანამდებობის პირი. ის არის წახალისებული ამ მიმართულებით!

***– საზოგადოებაში განწყობები შეიცვალა?***

– სხვა ქვეყნები რომ გვიყურებენ, წარმოიდგინეთ, რას ფიქრობენ, ჩვენი მოქალაქე ტყვედ არის სადღაც ჯურღმულში ჩავარდნილი, სახელმწიფოს მტრის ხელშია და ჩვენ ასეთ საკითხებს განვიხილავთ, რაც აჩვენებს, რომ თითქოს საზოგადოება ორად არის გაყოფილი. საზოგადოება არ არის ორად გაყოფილი.

***– ხელისუფლების ნაწილი ფიქრობს, რომ ვაჟა გაფრინდაშვილმა პროვოკაცია მოაწყო?***

– ფაქტია. დღემდე ეს კაცი ხელისუფლებას წარმოადგენს, დღემდე საკრებულოს წევრია, თანამდებობაც უკავია და ასეა, აბა რა არის.

***– წულუკიანმა თქვა, ეს, უბრალოდ, გამოხატვის თავისუფლებააო.***

– ამაზე უარესი წულუკიანმა რაღა უნდა თქვას?! იუსტიციის მინისტრი რომ ამას იტყვის, თავი რომ დავანებოთ ადამიანობას, მორალს, ზნეობას, კანონში წერია, რომ საჯარო მოხელე ვალდებულია, არ მოიმოქმედოს ისეთი რამ, რაც რეპუტაციულად დააზიანებს საჯარო სამსახურს! ამაზე მეტი განმარტება კანონში რა უნდა იყოს?! მაგრამ ამ ქალმა არც კანონი იცის, არც კითხვა და არც მორალი აქვს. აი, ასეთები არიან. წულუკიანის განცხადებაც ხომ ამის დასტურია, რომ ეს კაცი წახალისებულია „ოცნებიდან“. წულუკიანმა პირდაპირ თქვა, ეს კაცი არ უნდა წავიდეს თანამდებობიდანო. ამიტომ, კი არ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ყველაფრის უკან „ქართული ოცნება“ დგას.

# მინისტრი ციხელაშვილი უნდა გადადგეს!

## სოსო ცინცაძე: „პუტინის „ბროლის ოცნებაა“, საქართველოს პირველ პირს ერთი ერთზე დაელაპარაკოს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, ოპოზიცია ერეკლე კუხიანიძის საკრებულოდან გარიცხვას ითხოვს. რა მოლოდინი გაქვთ, „ქართული ოცნება“ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას?***

– კუხიანიძემ თავი ჩაიყენა ისეთ მდგომარეობაში, რომ მის მიერ თავის მართლებას აღარანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. მან ამ განცხადებით დაამტკიცა, რომ შემთხვევით არის თბილისის საკრებულოს დეპუტატი, რომ პოლიტიკაში არათუ დილეტანტი, დილეტანტზე ბევრად უფრო დაბალ დონეზეა. ის ყოველდღე ამტკიცებს, რომ აბსოლუტურად არაფერი გაეგება პოლიტიკის.

ამ დროს პოლიტიკაზე ისე საუბრობს, გეგონება, დიდი პოლიტიკოსია ან პოლიტიკის, როგორც მეცნიერების მცოდნე. საბჭოთა კავშირი თავისით დაიშლებოდაო. ამის კვლევას კიდევ 30 წელი დასჭირდება და, ვფიქრობ, კუხიანიძეზე ბევრად უფრო ჭკვიან მეცნიერებს გაუჭირდებათ რეალური პასუხის მიღება. მართალია, საბჭოთა კავშირი თვითდინებით მიდიოდა ბუნებრივი სიკვდილისკენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეროვნული მოძრაობის აქტივისტები დონ კიხოტები იყვნენ, რომ მერაბ კოსტავა სულ ტყუილად იჯდა ციხეში ან ზვიად გამსახურდიამ სულ ტყუილად გაწირა თავი. კუხიანიძემ ბევრი წითელი ხაზი გადაკვეთა და უკან დასახევი გზა არ დაიტოვა.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, არ გამოვრიცხავ, ნაციონალების ჯინაზე დატოვონ საკრებულოში, მაგრამ რა ფასი აქვს მის იქ ყოფნას?!

***– „ოცნებას“ უღირს კი ამ გადაწყვეტილების მიღება?***

– საქმეც ის არის, რომ „ქართულ ოცნებაში“ ვერ ხვდებიან, პოლიტიკურად რა უღირთ და რა არ უღირთ, ვერ ხვდებიან იმიტომ, რომ პოლიტიკოსები არ არიან. პოლიტიკური ცხოველი სხვანაირად მოქმედებს. თუნდაც რამხელა პოლიტიკური დივიდენდი იქნებოდა „ოცნებისთვის“ ნებისმიერ დებატებში ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ კუხიანიძის საკრებულოდან გარიცხვა, ბევრად უფრო წელგამართულები იტყოდნენ, რომ მათ მხოლოდ ოპოზიციონერი ნიკა მელიას წინააღმდეგ კი არ მიიღეს მსგავსი გადაწყვეტილება, არამედ საკუთარი რიგებიდანაც კი გაუშვეს დეპუტატი მიუღებელი პოლიტიკური პოზიციონირების გამო, მაგრამ ამას ვერ ხვდებიან. იქცევიან არა როგორც პოლიტიკოსები, არამედ, როგორც ქუჩის ბიჭები.

***– რამდენად სათანადოდ მუშაობს ხელისუფლება ვაჟა გაფრინდაშვილის დასახსნელად?***

– ციხელაშვილს მართლაც კონფლიქტების მომგვარებელი ხომ არ ჰგონია თავი? ასეთი პრობლემების მოგვარება ევალება მას. ნორმალურ ქვეყანაში ციხელაშვილი აქამდე უნდა გადამდგარიყო სწორედ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის საკითხის გამო ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უნდა გამოვიდეს და აღიაროს, რომ სამინისტრო, რომელსაც ხელმძღვანელობს, რუდიმენტია.

პაატა ზაქარეიშვილი სწორედ თავისი კონტაქტებით, კავშირებით, თუნდაც ადამიანური ურთიერთობებით გამოირჩეოდა აფხაზებთან და ოსებთან. ოსებთან დღეს მხოლოდ ამ კავშირებით შეიძლება ვიმოქმედოთ. აფხაზებთან სხვა სიტუაციაა.

***– ფიქრობთ, ეს არხები არ არის ამოქმედებული?***

– ალბათ არ არის?! ვიცით, ვის დაურეკა ციხელაშვილმა, გვითხრა, რა არხები აამოქმედა?! საერთოდ აქვს კი ინფორმაცია?! 20 დღის წინ გვითხრა, ორ დღეში გათავისუფლდებაო. ვინ უთხრა, რა წყაროზე დაყრდნობით გვითხრა. ვისთან აწარმოა მოლაპარაკებები?! ეს ყველაფერი უნდა იცოდეს საზოგადოებამ, როდესაც შედეგი არ გვაქვს და ექიმი პატიმრობაში რჩება. საშინელებაა, სრული ქაოსია.

ყველაფერი გასაგებია, ჩვენ მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიაა, ძალიან რთულია, შეზღუდულია ჩვენი ხელისუფლების უფლებები, შესაძლებლობები, მაგრამ აბა სახელმწიფო რაში გვინდა, ხელისუფლება რაში გვჭირდება, თუ მოწოდების სიმაღლეზე არ იქნება და ასეთ პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებს?! რასაკვირველია, არ შეგვიძლია, სპეცრაზმი გავგზავნოთ, ციხე შტურმით ავიღოთ და ექიმი გავათავისუფლოთ, მეორე დღეს რუსეთი თბილისს დაბომბავს, მაგრამ ამ ფონზე კუხიანიძის განცხადება, მითხარით, სად ჯდება, რაში ეწერება?! აქ მაინც ხომ შეუძლია ხელისუფლებას, იმოქმედოს?! ამერიკის სენატის წევრი ხომ არ არის?! აქამდე რას ელოდებიან, რატომ არ იღებენ გადაწყვეტილებას?!

***– რად უღირს ეს ყველაფერი რუსეთს?***

– რუსეთისთვის ეს საკითხი მეასეხარისხოვანია. დღეს რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა არ იმჩნევენ, ქვეყნის პირველი პირი მოლაპარაკების მაგიდაზე დაისვან, რაც მთავარია, ერთი ერთზე. ეს არის პუტინის ბროლის ოცნება.

***– ივანიშვილი თუ გახარია?***

– ვინაიდან დღეს ფორმალურად ქვეყნის პირველი პირი პრემიერ-მინისტრია, ალბათ, გახარია ურჩევნიათ. ასე თუ ისე, უკრაინაში პუტინმა თავის მიზანს მიაღწია. პარიზის შეხვედრა პუტინის ასპროცენტიანი გამარჯვება იყო. არაოფიციალურად ანგელა მერკელმა ეს განაცხადა კიდეც. ამდენად, პუტინმა რასაც უკრაინასთან მიაღწია, საქართველოსთან ვერ მიაღწია. ამიტომ პუტინის უპირველესი სურვილია საქართველოს საკითხის ბოლომდე გარკვევა. ამისთვის მას, რასაკვირველია, ერთი ერთზე უნდა ხელისუფლებასთან, ხელისუფალთან მოლაპარაკება. ნინი ბურჯანაძე კი ჩადის მოსკოვში. მართალია, ის არის ავტორიტეტული, მდიდარი პოლიტიკური ბიოგრაფიის მქონე, მაგრამ ბურჯანაძე ხომ არ არის გადაწყვეტილების მიმღები პირი საქართველოში?! კრემლი ბურჯანაძეს ვერაფერში შეუთანხმდება, ამიტომ კრემლის უპირველესი მიზანი, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებასთან პირდაპირი მოლაპარაკებაა, ყოველგვარი მეგობარი თუ პარტნიორი სახელმწიფოს გარეშე.

# გურამ ვახტანგაშვილი: „საოკუპაციო ხაზთან 21-ე საუკუნის ლეკიანობაა“

გულიკო ბალაძე

რატომ იტაცებენ ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები, რუსი და ოსი ჯარისკაცები საქართველოს მოქალაქეებს, ადამიანებს, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობენ? რატომ არ ათავისუფლებენ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს, რომელიც თვეზე მეტია ტყვედ ჰყავთ აყვანილი და ცხინვალის ციხეში იმყოფება? რამდენი ბაზა აქვს აშენებული რუსეთს ცხინვალის რეგიონში? რას ნიშნავს საკრებულოს დეპუტატ კუხიანიძის განცხადება, რომელიც რუსეთის მოქმედებებს ამართლებს? – „ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი გურამ ვახტანგაშვილი პასუხობს.

***– ბატონო გურამ, რა პრინციპია ისეთი, მთელი საერთაშორისო ავტორიტეტული სტრუქტურები ჩარეული არიან და ცხინვალში დატყვევებულ ექიმს, ვაჟა გაფრინდაშვილს, საოკუპაციო რეჟიმი არ ათავისუფლებს?***

– ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლება, პირველ რიგში, რუსეთზეა დამოკიდებული. ურუსეთოდ ოსი სეპარატისტები არაფერს აკეთებენ. რუსები და სეპარატისტები ერთი იგივე გეგმით მოქმედებენ.

***– რა არის მათ გეგმებში მთავარი?***

– მათი მთავარი გეგმაა, ყოველდღიურად, ყოველთვიურად, რაც შეიძლება მეტი ქართველი გაიტაცონ. დღე არ გავა, ვიღაც არ გაიტაცონ.

***– გუშინაც გაიტაცეს ერთი მოხუცი კაცი.***

– დიახ. თან ადამიანებს სხვადასხვა სოფლიდან იტაცებენ. წლების განმავლობაში რამდენიმე ათასი კაცია გატაცებული. ჯარიმას რომ ახდევინებენ და გატაცების მეორე დღეს უშვებენ, ჯარიმის თანხა 1000 და 2000 მანეთი რუსებისა და ოსებისთვის არაფერია. ისინი ამით დოკუმენტებს ქმნიან.

***– რა დოკუმენტებს ქმნიან?***

– ვიღაცას რომ გაიტაცებენ, გატაცებულებს სურათებს უღებენ, დოკუმენტაციას აკეთებენ და ინფორმაციას აგროვებენ, რომ ამა თუ იმ პიროვნებამ აღიარა, რომ გადმოკვეთა საზღვარი და ბოდიშს იხდის მათი ე.წ. „დამოუკიდებელი ქვეყნის“ წინაშე და შემდეგ ათავისუფლებენ. თორემ ჯარიმის ოდენობა 1000 მანეთი უდრის 40 ლარს.

ამ თანხის სანაცვლოდ არავის გამოუშვებენ, მაგრამ ხვალინდელი და ზეგინდელი დღისთვის მუშაობენ. იმ ე.წ. დოკუმენტებს დღეს, ხვალ, ერთი წლის თუ რამდენიმე წლის შემდეგ, განსაზღვრული რაოდენობის ხალხს რომ შეკრებენ, იმ ტექსტებს საერთაშორისო ასპარეზზე დაგვიდებენ, რომ ჩვენმა რამდენიმე ათასმა კაცმა „აღიარა“ საზღვრის დარღვევა და მათი ეწ. „დამოუკიდებლობა“. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ მხრივ გათვლილ ნაბიჯს დგამენ.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# გია ხუხაშვილი: „ამერიკამ „ოცნებას“ ყვითელი ბარათი აჩვენა. თუ ასე გაგრძელდა, წითელს აჩვენებს“

## „რა უნდათ? ხუნდაძის ისტორია შეჭამონ კონგრესმენებმა?! ასეთი იდიოტები ჰგონიათ ისინი?! ამის ხომ არავის სჯერა, არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ“

იაგო ნაცვლიშვილი

ამერიკელი კონგრესმენები ადამ კინზინგერი და გერი კონოლი საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას პროპორციულ სისტემაზე მიმართავენ. კონგრესმენების წერილში საქართველოს ხელისუფლება მწვავედ არის გაკრიტიკებული.

„ძვირფასო პრემიერ-მინისტრო, როგორც „კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საქართველოს ჯგუფის“ თანათავმჯდომარეები, ჩვენ დღეს გწერთ მზარდი შეშფოთებით უახლეს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დაპირებული პოლიტიკური რეფორმების მიტოვების შესახებ, ისევე, როგორც მშვიდობიანი პროტესტანტების წინააღმდეგ ძალადობის გამოყენებაზე ცნობების თაობაზე.

1991 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველომ განავითარა ძლიერი დემოკრატიული საფუძველი და მოახდინა დემოკრატიული ღირებულებების, მათ შორის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისადმი ერთგულების დემონსტრირება. ეს არის, თუ რატომაც ვართ შოკირებულები იმის გაგებით, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შესახებ საქართველოს პარლამენტში დაპირებული რეფორმები ჩაიშალა. საქართველო ამ რეფორმებზე წლების განმავლობაში მუშაობდა ევროკავშირთან და ვენეციის კომისიასთან ერთად. ეს ვალდებულება აღებულ იქნა არა მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების, არამედ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართველი ხალხის წინაშე. იმედი გვაქვს, რომ ქართველი თანამდებობის პირები დაუყოვნებლივ გააგრძელებენ მოლაპარაკებებს და ამ მნიშვნელოვან რეფორმების პაკეტს მიიღებენ, – აღნიშნულია ამერიკელი კონგრესმენების წერილში, რომელშიც ხაზი აქციის ძალადობრივი გზით დაშლასაც აქვს გასმული.

ამერიკელი კონგრესმენების გზავნილებსა და ზოგადად დასავლეთის გზავნილებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

***– როგორ უნდა გავიგოთ ამერიკელი კონგრესმენების განცხადება, სადაც მწვავედ არის გაკრიტიკებული დღევანდელი ხელისუფლება?***

– ეს არის გაფრთხილება, რომელიც გაკეთებულია გაოცების საფუძველზე. ფორმირებული გაფრთხილება და ტენდენციები ძალიან შემაშფოთებელია. აფრთხილებენ ხელისუფლებას, რომ თუ ეს ტენდენცია ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ამას კიდევ უფრო მძიმე შედეგები მოჰყვეს.

***– საზოგადოებისა და აქციის მონაწილეების შემდეგ რეალურად ამერიკამაც ყვითელი ბარათი უჩვენა ხელისუფლებას?***

– პრინციპში, შეგვიძლია, ესეც გამოვიყენოთ. თუ ფეხბურთის ტერმინოლოგიით ვისაუბრებთ, ეს არის ყვითელი ბარათი.

***– თუ ხელისუფლება არ გაითვალისწინებს დასავლეთის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს, ამას შემდეგ წითელი ბარათი მოჰყვება?***

– თუ ასე გაგრძელდა, რა თქმა უნდა, ასე იქნება, იმიტომ, რომ ტენდენცია ნეგატიურია. ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლებას ჯერ ძალიან დიპლომატიურად მიუთითეს, რომ დაპირებულს შესრულება უნდა, მერე ცოტა უფრო მკაცრი ტონით უთხრეს, მერე – კიდევ უფრო მკაცრად და ეს ტონი ყოველდღიურად უფრო და უფრო მძიმდება. ასეთი მოცემულობაა. ყველაზე შემაშფოთებელი




ის არის, რომ ხელისუფლება არაადეკვატურია ამ განცხადებებთან დაკავშირებით. ჩვენ ამას ვხედავთ მათ კომენტარებში.

საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ თურმე წინააღმდეგობრივი ინფორმაცია მიდის ამერიკაში. ხუმრობით რომ ვთქვათ, გამოდის, რომ ამერიკა აღმოაჩინა. ხელისუფლებას, როგორც ჩანს, აქვს ილუზია, რომ ახლა ჭკვიანი ბიჭები დასხდებიან, ახსნა-განმარტებას დაწერენ და კონგრესმენები მერე იტყვიან, რომ თურმე ტყემალზე ვისხედით და ეს რა ტკბილი და მურაბა ხალხი ყოფილაო. ასე იქცევიან, ამის ილუზია აქვთ და ამაზე ფიქრობენ. რას უნდა ველოდოთ?! უნდა ველოდოთ სიტუაციის დაძაბვას. რაღაც მომენტში ალბათ დაიწყება შეუქცევადი პროცესი.

***– ხელისუფლება გვეუბნება, რომ ნაციონალური მოძრაობა აწვდის ინფორმაციას და იმას ეყრდნობიან. დავუშვათ, ასეა, მაშინ ეს არ არის ხელისუფლების ცალკე პრობლემა?***

– დიდი ბოდიში, მაგრამ ამას რად უნდა ნაციონალური მოძრაობა?! შეხედეთ, არ იყო ასე? არ გადააგდო საზოგადოება ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“? ტყუილი ინფორმაცია აქვთ კონგრესმენებს? ხომ ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებას შეჰპირდა პროპორციულ არჩევნებს და გადააგდო?! რა უნდათ? ხუნდაძის ისტორია შეჭამონ კონგრესმენებმა?! ასეთი იდიოტები ჰგონიათ ისინი?! ამის ხომ არავის სჯერა არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ და რა უნდათ?! რა უნდა აუხსნან, ის, რომ ხუნდაძე აბუნტდა თუ რა უნდა აუხსნან?! ეს ძალიან მაინტერესებს. ამას აუხსნიან და კიდევ შეურაცხყოფას მიაყენებენ მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს?! ამ ილუზიაში ცხოვრობენ.

***– ისიც უნდა ვთქვათ, რომ დასავლეთის მხრიდან ეს არ არის პირველი კრიტიკული განცხადება, თუნდაც ბოლო 1 ერთ კვირაში. სასამართლოზეც მოვისმინეთ კრიტიკული შეფასებები.***

– კი, მაგრამ ნელ-ნელა ტონი მძიმდება. უნდა გვესმოდეს, რომ დასავლური მანქანა არ მუშაობს ასე, რომ პირველივე ნათქვამზე ან პირველივე მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირება მოახდინონ. ისინი ცდილობენ, ურთიერთობა ჰქონდეთ. ისინი, პირველ რიგში, ქვეყანასთან მეგობრობენ და არ აქვთ პოლიტიკური მიდრეკილებები რომელიმე ძალის მიმართ. ცდილობენ, რომ არსებულ ხელისუფლებასთან იმუშაონ იქამდე, სანამ ეს შესაძლებელია, მათ არასწორ ქმედებებზე მიუთითებენ, მაგრამ, თუ დაინახავენ, რომ ერთხელ არ გამოიღო ამან შედეგი, ორჯერ და სამჯერაც არ გამოიღო შედეგი, მაშინ, რა თქმა უნდა, ტონს თანდათან ამკაცრებენ და დღეს ჩვენ ვუყურებთ ამ ტენდენციას.

იმის მტკიცება, რომ თურმე აქციის დაშლის დროს საერთოდ არაფერი ყოფილა და ყველაფერი ნორმის ფარგლებში იყო, ახლა ამის ახსნასაც აპირებენ. როგორ უნდა აუხსნან?! კი ბატონო, ან ხელისუფლებას არავინ ედავება, რომ ძალის გამოყენება შეიძლებოდა. კი ბატონო, ძალა გამოიყენა, მაგრამ აქ ძალის გამოყენების პრობლემა კი არ არის, არამედ ძალის გამოყენების შედეგების პრობლემა დგას, ის, თუ როგორ გადაიზარდა ლეგიტიმური ძალის გამოყენება იმ ვითარებაში, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები და ამაზეა საუბარი.

ხელისუფლება კი ცდილობს, ჩაკეტოს საკითხი იმაზე, ჰქონდა თუ არა უფლება, ძალა გამოეყენებინა. კი ბატონო, ჰქონდა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ხმალი გალესო და თვალდახუჭულმა იქნიო. ასე რომ, ცდილობენ, თავიანთი პარალელური სამყარო, პარალელური ექსკლუზიური სიმართლე და ჭეშმარიტება შექმნან და ეს ჭეშმარიტება მოახვიონ ყველას თავს. არ მუშაობს ეს.

***– ის ფაქტი არ იქონიებს დასავლეთის პოზიციებზე გავლენას, რომ ფაქტობრივად ყველა ოპონენტზე ან საქმე აღძრეს, ან ციხეში ჩასვეს, ან დაკითხვებზე იძახებენ?***

– რა თქმა უნდა, ესეც ფაქტორია. როდესაც არის ტენდენცია ასეთი, რომ პრაქტიკულად ყველა ოპოზიციური ლიდერის მიმართ ძიებაა, ეს ამ განცდას გააჩენს. შეიძლება, ვიღაცა დამნაშავეა, მე მათ ადვოკატობას ვერ დავიწყებ, მაგრამ, თუ ვინმე ოპოზიციაშია და ყველას მიმართ სისხლის სამართლის საქმე გაქვს აღძრული, ბუნებრივია, გაგიჭირდება იმის მტკიცება, რომ აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია.

ავიღოთ ბოკერიას საქმე, რომელიც 16 დეკემბერს განაახლეს. საქმე, რომელიც აღიძრა 2013 წელს და ამაზე როდესაც პროკურატურას პირველი კითხვები უჩნდება 2019 წელს, ბუნებრივია, კონგრესმენებისა თუ სხვების დარწმუნება რთული იქნება. რანაირად უნდა დაარწმუნო? დავუშვათ, ბოკერია დამნაშავეა, მარტივი კითხვა ისმება, შე კაი ადამიანო, 5 წლის წინ რომ საქმე აღძარი, რატომ დააკონსერვე და შეინახე კომპრომატის სახით სეიფში?! რატომ გააკეთე ეს? ანუ პოლიტიკურად უკვე მოტივირებული გამოდის ეს საქმე, იმის მიუხედავად, ბოკერიამ დააშავა რამე თუ არა. ეს არის ამ ხელისუფლების უბედურება და ისევ ჰგონიათ, რომ გადააგორებენ, ჰგონიათ, რომ ჭკვიანი ბიჭები დასხდებიან, ვირეშმაკულს დაწერენ, გაუგზავნიან და კონგრესმენები იტყვიან, ეს რა მურაბა ხალხი ყოფილა, როგორ გვეშლებოდა, რომ ამათ შენიშვნებს ვაძლევდითო. ამ საგიჟეთში ცხოვრობენ.

***– ბოკერიაზე ისეთ კონტექსტში საუბრობთ, მაინც უშვებთ იმის ალბათობას, რომ შესაძლოა, ბოკერიასგან რაღაც გადაცდომა იყო?***

– არა, მე ამის შეფასებას ვერ გავაკეთებ. ჯერ ერთი, საქმეს არ ვიცნობ, მეორეც, ჩემს კომპეტენციას სცილდება. მე არ ვარ კომპეტენტური ამ საკითხში, რომ მის დამნაშავეობაზე ან უდანაშაულობაზე ვისაუბრო და ეს შევაფასო. მე ამ საკითხს ამის მიღმა ვტოვებ, მაგრამ ჩემთვის მას მნიშვნელობა აღარ აქვს, იმიტომ, რომ მე ამ საკითხთან დაკავშირებით სულ სხვა კითხვა მაქვს – თუ რამე დანაშაულის ნიშნები იყო და საქმე აღძარი, 5 წელი რატომ მოანდომე კითხვის დასმას?! უკვე იკარგება და ფასს კარგავს ყველაფერი.

# ევროპის საინვესტიციო ბანკმა (EIB)-მ ლიბერთი ბანკს EUR 15 მლნ სესხი დაუმტკიცა

დღეს, EIB-სა (European Investment Bank) და ს.ს. ლიბერთი ბანკს შორის ხელი მოეწერა საკრედიტო ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც ბანკი EIB-ისგან მიიღებს 15 მილიონ ევროს. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა **EU4Business Initiative ფარგლებში** და ეს თანხა მოხმარდება მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტებას საქართველოში.

2017 წელს ბანკის აქციონერების ცვლილებასთან ერთად, ახალმა გუნდმა ბიზნესის განვითარების ამბიციური სტრატეგია შეიმუშავა. ეს სტრატეგია მიზნად ისახავს:

- ბანკის თანამშრომლების გადამზადებას და მათი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კლიენტების მომსახურების ხარისხს;
- მომხმარებელზე ორიენტირებული საბანკო მომსახურების დანერგვას როგორც საცალო, ასევე კორპორატიულ და მცირე და საშუალო ბიზნეს-სეგმენტებისთვის;
- მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის მიზნით საქართველოში.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ლიბერთის გააჩნია აუცილებელი რესურსები ამ საკრედიტო ხაზის ეფექტურად განთავსებისათვის, რის შესაძლებლობასაც იძლევა ბანკის ფილიალების ფართო ქსელი, რომელიც მოიცავს მთელ საქართველოს.

EIB-ს სესხი საშუალებას მისცემს ლიბერთის, გააგრძელოს საქართველოში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება გაუმჯობესებული პირობებით. ბანკი ასევე მიიღებს ტექნიკურ დახმარებას EIB სატრასტო ფონდიდან საკრედიტო მომსახურებისა და პროდუქტების გაუმჯობესების მიზნით.

– მოხარული ვართ EIB-სთან თანამშრომლობის დაწყებით. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ლიბერთი ბანკისთვის და ჩვენი გუნდისთვის წარმოადგენს დამატებით სტიმულს დასახული მიზნების მიღწევის გზაზე. EIB-ს მიერ დამტკიცებული საკრედიტო რესურსი საშუალებას მოგვცემს გავაღრმავოთ თანამშრომლობა მცირე და საშუალო მეწარმეებთან საქართველოს მასშტაბით, – **განაცხადა ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ლევან თხელიძემ.**

– მინდა მადლობა გადავუხადო EIB-ს გამოხატული ნდობისათვის. მჯერა, ეს თანამშრომლობა საშუალებას მისცემს ბანკს, გაიმყაროს პოზიციები საქართველოს ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვან და დინამიურ სეგმენტში, რაც ბანკისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა, – **განაცხადა ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი რუხაძემ.**




– მდგრადი, ინკლუზიური და ინოვაციური ეკონომიკური ზრდისთვის ხელშეწყობა საქართველოში ევროგაერთიანების საკვანძო პრიორიტეტია. როგორც ევროკავშირის ბანკი, ჩვენ მიზნად ვისახავთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობას საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ადგილობრივი პარტნიორების მხარდაჭერა.

მოხარული ვარ, რომ არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გამყარებასთან ერთად, ვიწყებთ თანამშრომლობას კიდევ ერთ ფინანსურ ინსტიტუტთან.

მცირე და საშუალო ბიზნესებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საქართველოს ეკონომიკაში და ჩვენ მიერ განხორციელებული ტრანზაქციები შეუქმნიან ახალ შესაძლებლობებს როგორც ამ ბიზნესებს, ასევე მთელ ქვეყანას, – **განაცხადა EIB-ს ვიცე-პრეზიდენტმა, ლილიანა პავლოვამ.**

**ლიბერთი ბანკი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკია.** ბანკის აქტივები 2 მლრდ ლარს შეადგენს, დასაქმებულია 4.500-ზე მეტი თანამშრომელი, მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოდგენილია 360-ზე მეტი მომსახურების ცენტრით, 550 ბანკომატით და ემსახურება 1.7 მილიონზე მეტ მომხმარებელს. დამატებითი ინფორმაციისთვის: www.libertybank.ge; მედია კონტაქტი: pr@lb.ge.

**The European Investment Bank** (EIB) არის ევროკავშირის ბანკი და არის გრძელვადიანი დაფინანსების ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ინტერესებს. ბანკი ახორციელებს გრძელვადიან ინვესტიციებს ევროკავშირის სტრატეგიის გათვალისწინებით. გაცემული სესხების მოცულობის მიხედვით EIB არის უმსხვილესი საკრედიტო ორგანიზაცია. EIB აფინანსებს მაღალი ხარისხის საინვესტიციო პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ევროკავშირის სტრატეგიული ამოცანების განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ EIB-ს მოღვაწეობის 90%-ზე მეტი მიმართულია ევროპაზე, იგი ასევე ხელს უწყობს ევროკავშირის საგარეო და განვითარების სტრატეგიის რეალიზაციას. ევროკავშირთან ერთად EIB შეუერთდა Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) Initiative East Programme-ს, რომელიც მიმართულია იმ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, რომლებიც შეუერთდნენ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ეს ქვეყნებია – საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. მხარდაჭერა ხორციელდება ფინანსური და ტექნიკური დახმარების სახით მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის.

**EU4Business** წარმოადგენს ევროგაერთიანების ინიციატივას, რომელიც მხარს უჭერს მცირე და საშუალო ბიზნესებს, დააფინანსონ საკუთარი განვითარება და ეკონომიკური ზრდა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში (აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა). EU4Business პროგრამას ახორციელებენ EIB და სხვა ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD). EU4Business აერთიანებს ევროკავშირის პროგრამებს, რომლებიც მიმართულია მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარებაზე აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში.

EIB შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე იმ ქვეყნებში, რომლებიც შეუერთდნენ ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირთან. ეს ქვეყნებია – საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. მხარდაჭერა ხორციელდება ფინანსური და ტექნიკური დახმარების სახით მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ამ ქვეყნებში. http://www.eu4business.eu

# შოთა მალაშხია: „ივანიშვილმა თავისი დრო მოჭამა“

## „ტანჯულის მანტიის მოსხმა ნებისმიერ ოპოზიციონერს რეიტინგს გაუზრდის“

მარიამ მჭედლიშვილი

**ოპოზიციური ერთობა აგრძელებს პარლამენტის პიკეტირებას და მანიფესტაციებს რეგიონებში. იმავდროულად, იგეგმება მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი საარჩევნო თემებზე. „ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.**

***– თქვენი, ოპოზიციური ერთობის გეგმები ფაქტობრივად არ შეცვლილა. შეიცვალა თუ არა ზოგადად რეალობა ნოემბრის შემდეგ?***

– რეალობა იგივეა. ქვეყანაში ყველაფერი კეთდება მმართველი პარტიის ჩამოსაშლელად და რეიტინგის დასაწევად. ჩვენ, ოპოზიციას, ეს გვახარებს. ვინ მოტყუვდება იმ მიტინგით, რომელიც ხელისუფლებამ 14 დეკემბერს მოაწყო?! იქ ხომ ხალხი ძალით იყო მოყვანილი!

***– ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ 100 000-ზე მეტ ადამიანს ძალით ვერავინ მოიყვანდა.***

– ეს კომენტარებიც სასაცილოა. რისი თქმა უნდათ, რომ ამდენი მომხრე ჰყავს „ქართულ ოცნებას“? ივანიშვილი ყველას ყელში ამოუვიდა. მათ შორის, იმათაც, ვინც ფინანსურად მასზე ან ბიუჯეტზეა მიბმული. ივანიშვილის ბედი არ მაღელვებს. მე ქვეყანა მაწუხებს. ქვეყნისთვის უმთავრესია ნორმალური არჩევნების ჩატარება.

***– პროპორციული არჩევნები არ გამოდის. ახლა გერმანულ-ქართული მოდელის იმედი გაქვთ?***

– იდეაში, ჩვენ ისევ პროპორციული არჩევნები გვინდა. ხელისუფლება კი არც სხვა დათმობაზე წამოვა და ყველაფერს დატოვებს ისე, როგორც არის. ამას მთელი საზოგადოება დაინახავს. ივანიშვილი კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ „მელკი ჟულიკი“ და გადამგდებია. ამით ოპოზიცია კი არა, „ქართული ოცნება“ დაზარალდება. „ოცნებას“ ჯანდაბამდე გზა ჰქონია.

***– თუ არაფერი შეიცვალა, ოპოზიცია მაინც იპოვის გამოსავალს?***

– რასაკვირველია. ჩვენ არჩევნებს მოვიგებთ.

***– საუბარია იმაზე, რომ თუ მოქმედი სისტემა დარჩა, ოპოზიციონერები ერთმანეთს მაჟორიტარების კანდიდატებს შეუთანხმებთ?***

– ამ დეტალებზე შემდეგ ვიმსჯელებთ. ვიმოქმედებთ იმის მიხედვით, როგორი მოცემულობა გვექნება. თუ ეს შერეული მოდელი დარჩა, იმასაც გამოვიყენებთ, რომ მმართველი პარტია დავამარცხოთ. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ძალები გავერთიანდით. ერთად ვართ მემარჯვენეებიც, მემარცხენეებიც, ცენტრისტებიც, ლიბერალებიც და კონსერვატორებიც. ჩვენ გვინდა ნორმალური არჩევნები. ამ პოლიტიკურ ველზე ივანიშვილი ვერ თამაშობს. აქ ივანიშვილის ადგილი აღარაა. ივანიშვილი საკუთარი ხელით ითხრის პოლიტიკურ საფლავს.

***– რანაირად?***

– ის პოლიტიკურად და იდეოლოგიურად მკვდარია. იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კატეგორიულად არ მოსწონთ არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ. ივანიშვილმა თავისი ლობისტებიც ვერ დაარწმუნა თავის სისწორეში. როგორ უნდა ახსნას ის, რომ ჯერ პროპორციულ სისტემაზე გადადიოდა, შემდეგ კი გადაიფიქრა. ვირეშმაკობებიც არ გამოსდით.

***– რომელი ვირეშმაკობები?***

– მოლაპარაკებების ფორმატი. საარჩევნო მოლაპარაკებებზე არ უშვებენ ახალგაზრდობას. ახალგაზრდების დამსახურებაა პროპორციული არჩევნების იდეა 2020 წლის არჩევნებისათვის. მათ მოლაპარაკებებს არ ასწრებენ. ეგონათ, რომ ამით გამოიწვევდნენ მათ დაპირისპირებას ჩვენთან, პოლიტიკოსებთან. ეს მიზანი ჰქონდათ. ასევე უნდოდათ ბზარის შეტანა ოპოზიციის რიგებში.



***– ანუ უკმაყოფილების გამოწვევა იმ პოლიტიკოსებში, რომლებიც მოლაპარაკებებში ჩართული არ არიან?***

– დიახ. ეგონათ, რომ ამბიციები გამოიწვევდა კონფლიქტს. ესეც არ გამოუვიდათ. ამ ხელისუფლებაში არის ანგარებიანი, უუნარო, უნიჭო და გამოუცდელი ხალხი. ისინი ჩვენ ვერ გვაჯობებენ. გეგმებიც იაფფასიანი და უგუნური აქვთ. ხდება ის, რაზეც დიდი ხნის წინ ვლაპარაკობდი. მათ შორის, „ახალი თაობის“ ფურცლებიდან.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– საპრეზიდენტო არჩევნებიდან მოყოლებული დაიწყო და ახლა მთავრდება ის, რასაც ვვარაუდობდი. „ქართული ოცნების“ სახე ზოგმა მანამდე შეიცნო. 2018 წლის არჩევნების შემდეგ კი მიდის მმართველი პარტიის დაღმასვლა. ოპოზიციასაც ეს გვინდა.

***– გამოითქმის პროგნოზები იმაზე, რომ „ქართულ ოცნებას“ შერჩეული ჰყავს ძალები, ვისთან ერთადაც აპირებს კოალიციის შექმნას მომავალ პარლამენტში.***

– ივანიშვილს იმის ფუფუნება სად აქვს, რომ მომავალ კომბინაციებზე იფიქროს! საკუთარი თავი აქვს გადასარჩენი. „გაზპრომის“ მეწილე ივანიშვილი საქართველოს ხელისუფლებაში რუსეთსაც აღარ უნდა. ივანიშვილმა თავისი დრო საქართველოს საზოგადოებისთვისაც მოჭამა, რუსეთისთვისაც და დასავლეთისთვისაც. მისი კომბინაციები ძალიან პრიმიტიული და მდარეა. ყველაზე სასაცილო მაჟორიტარების – ბერაიასა და ხუნდაძის ამბოხება და ამხედრება იყო. ამას ვუწოდე ჭორვილას კოლმეურნეობის კულტურის სახლის დასის სპექტაკლი. მისი მთავარი გმირები, რომლებსაც „ქართუ ბანკის“ ვალები აქვთ, დაუპირისპირდნენ ბანკის მფლობელს და იბრძოლეს პროპორციული არჩევნების წინააღმდეგ. ამის მერე უმრავლესობიდან გამოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც ვერ აიტანეს ბერაია-ხუნდაძის დიქტატურა.

***– ოპოზიციის ლიდერების მიმართ მიმდინარე სამართლებრივი მოქმედებები ფასდება რეპრესიებად.***

– ესეც დაღმასვლის ნიშანია. ეს არის უკვე ბოლო ინსტანცია. ამით ხომ პოლიტიკოსები არ შეშინდებიან! ახალაიას დაჭერა 2012 წელს გამოცხადდა. ბაჩო ახალაიას არ შეეშინდა, ჩამოვიდა საქართველოში და ციხეში ჩაჯდა. თუ ეს მაშინ არ იყო საშიში, ახლა, 2019 წელს იქნება? ირაკლი ოქრუაშვილი რამდენიმე თვეა, ზის ციხეში. ბრალი მერეც წაუყენეს. ახლა სხვებს იბარებენ პროკურატურასა და პოლიციაში. ტანჯულის მანტიის შესხმა ნებისმიერ ოპოზიციონერს რეიტინგს გაუზრდის. მათ შორის იმათ, ვისაც ხალხი მანამდე არ თანაუგრძნობდა. ივანიშვილი ისე იქცევა, თითქოს ჩვენი, ოპოზიციის შეგზავნილი იყოს თავის პარტიაში. გამოდის, რომ ივანიშვილი ჩვენ შევაგზავნეთ, რომ ყველა ჩვენი საქმე გააკეთოს, „ქართული ოცნება“ დაშალოს და ხელი შეუწყოს ჩვენს გამარჯვებას არჩევნებში.

# გურამ ვახტანგაშვილი: „საოკუპაციო ხაზთან 21-ე საუკუნის ლეკიანობაა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოქალაქეების გატაცებები უკვე დიდი ლეკიანობის მსგავს მოვლენად იქცა და ვეღარ მოვიშორეთ.***

– 21-ე საუკუნის ლეკიანობაა. ადამიანებს ხშირად მაშინ აკავებენ თუ საოკუპაციო ხაზის იქით გადავიდა. თუმცა, ასევე გახშირდა საოკუპაციო ხაზის აქეთ გადმოსვლისა და ადამიანების გატაცების ფაქტებიც. ამიტომაა ადამიანები გათავისუფლების შემდეგ რომ აცხადებენ, ჩვენს მხარეს ვიდექიო. მათი მიზანია, რაც შეიძლება მეტ ადამიანს აღიარებინონ, რომ ისინი არიან „დამოუკიდებლები“ და ბოდიში მოახდევინონ, რომ „საზღვარი გადაკვეთეს“.

ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი „ცუდად რომ მოიქცა“, არ აღიარა, ალბათ, რაღაც ვადით პატიმრობას მიუსჯიან. მთელი მსოფლიო ფეხზე დგას, რუსეთშიც არ სიამოვნებთ, მის გათავისუფლებაზე რომ ელაპარაკებიან. ბურჯანაძის ინტერვიუ იყო, პარასკევისთვის გამოუშვებენო, მაგრამ არ გამოუშვეს. ეგენი გეგმაზომიერად იქცევიან.

ერთი ადამიანიც რომ იყოს ისეთი, ვინც დააკავეს და არ აღიარა მათი ე.წ. დამოუკიდებლობა, იმ პროცესს ველარ გააგრძელებენ, რა პროცესიც გეგმაზომიერად მიმდინარეობდა.

***– მათი პრობლემა აღიარებაა?***

– დიახ, მათთვის პრობლემა ჩვენების მხრიდან მათი აღიარებაა.

***– თუკი გატაცებული ადამიანები ვაჟა გაფრინდაშვილის მსგავსად არ აღიარებენ მათ ე.წ. საზღვარს და „დამოუკიდებლობას“ და არ ითხოვენ პატიებას, მაშინ ამგვარ სიტუაციას რა მოჰყვება?***

– ნახევარ ხუმრობით გეტყვით – რა მოჰყვება და მაშინ მიმდებარე სოფლების მოსახლეობა მასობრივად (ვთქვათ, 2000 კაცი ერთდროულად) უნდა შევიდეს ცხინვალში, არავინ აღიარონ და თავი შეინახონ.

***– შევიდნენ და იქ იცხოვრონ?***

– შევიდნენ, ისინი დააკავებენ და არ აღიარონ, უთხრან, რომ საქართველოში ვართო, როგორც გაფრინდაშვილმა თქვა.

***– ითქვა, რომ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს ცხინვალში კლინიკა ჰქონდა. ამის თაობაზე რაიმე ხომ არ იცით?***



– არ ვიცი. სანამ მე ცხინვალში ვიყავი, არ გამიგია, რომ მას იქ კლინიკა ჰქონოდა. ცხინვალში კერძო კლინიკა არ არსებობს. ყველა ე.წ. მათი სახელმწიფო კლინიკებია. შეიძლებოდა მას ფული ჩაეტანა და ერთობლივი კერძო კლინიკა ჩუმად გაეკეთებინა, მაგრამ ასეთი რამ არ გამიგია. მით უმეტეს, ოსები ძალიან აკონტროლებენ. ერთი კერძო კლინიკა იყო შევარდნაძის დროს, 2004 წლამდე. ასევე თოფაძემ 400 ათასი დოლარი ჩადო და ლუდსახარში ქარხანა გააკეთა ტუაევთან ერთად და რაღაც ერთობლივი ბიზნესები გაკეთდა.

იქ, ისეა, როგორც კომუნისტების დროს, კერძო პირზე არაფერი გაყიდულა. ცხინვალში კერძო არის მხოლოდ ვაჭრობა – მაღაზიები, საამქროები და რაღაც მსგავსი. ვინმე ოსს გაფრინდაშვილთან ერთობლივი ბიზნესი რომ ჰქონდეს, თვითონ ოსები იმ ოსს გაუსაძლის მდგომარეობაში ჩააყენებენ.

***– რამდენიმე თვეა ახალგორის გზა დაკეტილი აქვთ და, ფაქტობრივად, 1500-ზე მეტი ქართველი ტყვედ ჰყავთ აყვანილი. აქედან რომ ვერ შეაქვთ პროდუქტი, ცხინვალთან ურთიერთობენ?***

– დიახ, ცხინვალთან ურთიერთობენ. ცხინვალიდან ახალგორამდე გზა გააკეთეს. არეულობამდე ცხინვალიდან ახალგორში რომ ჩამოსულიყავი, ჯერ უნდა ჩამოსულიყავი იგოეთში და ლამისყანიდან ჩასულიყავი ახალგორში. ახლა პირდაპირ გზა გააკეთეს. დაახლოებით 45 წუთში ჩადიან ცხინვალამდე.

ვისთანაც მქონდა ურთიერთობა, მისგან არ გამიგია, ცხინვალში პროდუქტების გაჭირვება რომ იყოს. იმ მომენტებში უჭირთ, როცა ზაფხულში ხილი არ არის.

***– მახსოვს, 2008 წლის კატასტროფის შემდეგ, თქვენ საუბრობდით პარტიზანული ბრძოლის შესაძლებლობაზე.***

– გულანთებული ბიჭები არიან, ხეობელებიც და ცხინვალელებიც, მაგრამ პარტიზანული ბრძოლისთვის მხოლოდ მოქალაქის ენთუზიაზმი საკმარისი არ არის. ხელისუფლებაც ღიად თუ ფარულად მხარს უნდა უჭერდეს. თუ მხარს არ დაუჭერს, ის ახალგაზრდა მაინც არ უნდა დაიჭიროს, რომელიც პარტიზანულ ბროლაში იქნება ჩართული.

2008 წელს სამშვიდობო შეთანხმებას რომ მოვაწერეთ ხელი, მაგ თემაზე საუბარი უკვე გამორიცხულია. ჩვენებმა ყველაზე მაგარი ჰუმანურობა გამოიჩინეს და კაცისმკვლელები და სახელმწიფო დამნაშავეები, რომლებიც ციხეში ჰყავდათ მარეკ დუდაევის თამადობით, ყველა გაათავისუფლეს. ვიღაც ციხეში რომ ჰყოლოდათ, გაცვლიდნენ. სულ შენი ჭირიმეთი ლაპარაკით არაფერი გამოდის.

საოკუპაციო ხაზსაც მუდმივად იმიტომ წევენ, რომ მოხდეს საზღვრის გავლება და დელიმიტაცია-დემარკაცია. უნდათ ჩვენები ჩაითრიონ, რომ ხელისუფლება ამაზე დაითანხმონ, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება არასოდეს დათანხმდება ადმინისტრაციული საზღვრის აღიარებას.

***– რას ფიქრობთ თბილისის საკრებულოს დეპუტატის კუხიანიძის განცხადებაზე ვაჟა გაფრინდაშვილის გატაცებასა და რუსეთთან ურთიერთობებზე. რუსეთისა და სეპარატისტების დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ გასაკვირი არ არის, მაგრამ როდესაც დედაქალაქის საკრებულოს წევრი აცხადებს, რომ ჩვენ რუსებს ვუღალატეთ, დამოუკიდებლობა რომ მოვინდომეთ, ეს რას ნიშნავს?***

– არასწორი განცხადება იყო, მით უმეტეს, როცა კაცი ტყვეობაშია. როგორ შეიძლება, პატიმრობაში მყოფ ადამიანთან დაკავშირებით მსგავსი განცხადების გაკეთება.

# ოზურგეთში თხრილში მამაკაცის ცხედარი იპოვეს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

65 წლის შ.კ.-ს ცხედარი მისმა ძმამ გზისპირა თხრილში იპოვა.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის 115-ე მუხლით დაიწყეს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# რუსთავში ცოლზე სექსუალური ძალადობის მცდელობის გამო კაცი დააკავეს

რუსთავში კაცი ოჯახში ძალადობის ბრალდებით დააკავეს. „ნიუპოსტისთვის“ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებულს ცოლზე სექსუალურად ძალადობის მცდელობა ჰქონდა.

წყაროს ცნობით, ცოლ-ქმარი ბოლო პერიოდში ერთად არ ცხოვრობდა.

შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით დაიწყო, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

# პეკინზე მაღაზია „აიპლიუსი“ გაძარცვეს

## წაღებულია 16.000 ლარის პროდუქცია



„აიპლიუსის“ პეკინის ფილიალი გუშინ დილით გაძარცვეს.

მაღაზიის თანამშრომლების ინფორმაციით, წაღებულია 16.000 ლარის ტექნიკა. მათივე ცნობით, მძარცველები, სავარაუდოდ, არასრულწლოვნები არიან.

ადგილზე ამ დროისთვის სამართალდამცავები მუშაობენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ქურდობას ან სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას გულისხმობს.

# უაქციზო სიგარეტის რეალიზაციის ბრალდებით ორი პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის ფაქტზე ორი პირი დააკავა.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ოპერატიულ – სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პირთა ჯგუფის მიერ, მარკირებას დაქვემდებარებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე შენახვა – გადაზიდვა – რეალიზაციის ფაქტზე, ორი პირი დააკავეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კახეთის რეგიონში, დანაშაულში მხილებული პირებისგან ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი სხვადასხვა დასახელების, საერთო ჯამში, 75.000 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

ამოღებული უაქციზო სიგარეტის საბაზრო ღირებულება 290.000 ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ვინ დგას ჟურნალისტ შერემეტის მკვლელობის უკან?!

2016 წელს კიევში ჟურნალისტი პავლო შერემეტი ააფეთქეს. დანაშაული მხოლოდ 2019 წელს გაიხსნა, თუმცა ამან არანაკლები შოკი გამოიწვია. მკვლელობაში ბრალი დონბასის ომის ვეტერანებს დასდეს. ამათგან ერთ-ერთი, ანტონენკო, ცნობილი მუსიკოსი, ვოლონტიორი და უკრაინული სპეცნაზის ჰიმნის ავტორია. თანახმად უკრაინის შსს-ს ვერსიისა, შერემეტის მკვლელობის მიზანი უკრაინაში ვითარების დესტაბილიზაციაა. ამას ბევრი არ ეთანხმება. უკრაინის უშიშროების სამსახურის ექსშეფ გენერალ მარჩუკის აზრით, შერემეტის მკვლელობა უცხო, მტრული სახელმწიფოს ნახელავია. მარჩუკმა ხაზი გაუსვა, რომ პროვოკაცია რუსული სპეცსამსახურების საყვარელი მეთოდია.

– ისმის კითხვა, დონბასის ომის ვეტერანებს შერემეტი რატომ უნდა მოეკლათ? პირადად მათ ეს არაფერში სჭირდებოდათ. ვინ არის დამკვეთი? – ამბობს მარჩუკი.

პრეზიდენტმა ზელენსკიმ თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ დონბასის ომის ვეტერანებისაგან საფრთხე ემუქრება. შერემეტის მკვლელობა მან




ცალსახად შეაფასა, როგორც უკრაინაში სიტუაციის დესტაბილიზაციის მცდელობა. შექმნილ ვითარებაში უკრაინის შსს-ს მინისტრი ავაკოვი ზელენსკის ერთადერთი საყრდენია. კანონზომიერია, რომ ავაკოვის გავლენა გაიზარდა. პრეზიდენტმა ის პარიზში ნორმანდიულ სამიტზეც წაიყვანა, თუმცა შსს-ს მინისტრს იქ თითქოს არაფერი ესაქმებოდა.

– როგორც ჩანს, ავაკოვი პრემიერობას უმიზნებს, – აცხადებს პოლიტოლოგი ტარას ბერეზინეცი.

თუკი შსს-ს მინისტრს პოლიტიკაში მოსვლა სურს, მან რეზონანსული საქმე უნდა გახსნას. შერემეტის მკვლელობაც ასეთი საქმეა. ის ფაქტი, რომ დაკავებულნი სწორედ ომის ვეტერანები არიან, ფრიად არასასიამოვნო გრძნობებს აღძრავს. როგორც ჩანს, დაგეგმილია ომის ვეტერანების განტევების ვაცად ქცევა. ამის გამო ბევრი შეშფოთებას გამოთქვამს.

– ომის ვეტერანები, მოხალისეები და ვოლონტიორები პატრიოტულ ძალებს განეკუთვნებიან! ეს ის ხალხია, ვინც რუსული არმიის შეტევა შეაჩერა, – წერს ექსპერტი პიონტკოვსკი.

რუსეთიც მათ მოსპობას ცდილობს. ამ ეტაპზე პროგრამა მაქსიმუმი უკრაინული პატრიოტული ძალების დისკრედიტაცია-განადგურებაა; პროგრამა მინიმუმი შიდა დაპირისპირების გამძაფრება, დესტაბილიზაციის აგორება, უკრაინისთვის პუტინისეული სამშვიდობო სქემის თავს ძალად მოხვევაა.

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება.

# პუტინი მინსკ-3-ს ამზადებს?!



მოსკოვში დონბასის სეპარატისტული ფორმირებების საველე მეთაურთა ყრილობა გაიმართა. მას პუტინის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი დაესწრო. ექსპერტ მიხეილ არესტოვიჩის ცნობით, სურკოვმა შეკრებილთ განუცხადა, რომ მალე უკრაინაზე ახალი დარტყა განხორციელდება.

– პუტინი პარიზის მოლაპარაკებების შედეგით უკმაყოფილოა! უკრაინელებმა პირობა მისცეს, რომ მის ყველა მოთხოვნას შეასრულებდნენ, მაგრამ პირობა დაირღვა. შესაბამისად, ძალისმიერი ზეწოლის გარდა, სხვა გამოსავალი აღარ არსებობს, – თქვა სურკოვმა.

ექსპერტ არესტოვიჩის აზრით, რუსეთი შეეცდება ზაპოროჟიეში, ხარკოვში, ნიკოლაევსა და ოდესაში დესტაბილიზაცა გამოიწვიოს. თავდაპირველად იქ ე. წ. სახალხო პროტესტების იმიტაციის მცდელობები განხორციელდება. შემთხვევის ადგილას რუსი ჟურნალისტები გაჩნდებიან და ფირზე გადაიღებენ, თუ როგორ უსწორდება უკრაინული პოლიცია ე.წ. სამშვიდობო პროტესტს. ამის შემდეგ რუსული არმიის დამატებითი ძალები უკრაინაში შეიჭრებიან.

# ვლადიმერ ზელენსკი აზერბაიჯანში ჩავიდა



უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ბაქოში ჩავიდა. ვიზიტის მიზანია უკრაინა-აზერბაიჯანის თანამშრომლობის ახალ სიბრტყეზე აყვანა. ზელენსკი თავის აზერბაიჯანელ კოლეგა ილჰამ ალიევს შეხვდება. დაგეგმილია შეხვედრები პრემიერ ასადოვთან, აგრეთვე აზერბაიჯანის უკრაინული სათვისტომოსა და უკრაინა-აზერბაიჯანის ბიზნეს-ფორუმის ლიდერებთან.

# მზადდება ტრამპის იმპიჩმენტი

აშშ-ის კონგრესი ტრამპის იმპიჩმენტისათვის ემზადება. „ამერიკის ხმის“ ცნობით, შესაძლოა უკვე ამ კვირაში იმპიჩმენტს კენჭი უყარონ. კონგრესში უმრავლესობას დემოკრატიული პარტია ფლობს. დამოკრატები კი იმპიჩმენტს მხარს უჭერენ.

– სავარაუდოდ ტრამპი აშშ-ის მესამე პრეზიდენტი იქნება, რომელსაც იმპიჩმენტს გამოუცხადებენ, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.




# შედგა ტრამპისა და ჯონსონის სატელეფონო საუბარი



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ინგლისის პრემიერს ჯონსონს დაუკავშირდა. ტრამპმა მას არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მიულოცა.

– დადგა დრო, როცა ჩვენმა ქვეყნებმა უნდა გააფორმონ შეთანხება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, – განაცხადა ტრამპმა.

ჯონსონმა ამერიკელ კოლეგას მადლობა გადაუხადა. მან გამოთქვა რწმენა, რომ შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონების თაობაზე ორივე ქვეყნისათვის სასიცოცხლოდაა აუცილებელი.

# მამაკაცმა საპრეზიდენტო ამალა შეაჩერა და სამსახურში აყვანა მოითხოვა

კენიის დედაქალაქ ნაირობის მცხოვრები საპრეზიდენტო ამალის წინ ხელში აღმართული პლაკატით გამოვიდა, რომელზეც ეწერა, რომ ის სამუშაოს ითხოვდა.

კენიის პრეზიდენტის უხურუ კენიატას ამალა საერთაშორისო საკონფერენციო ცენტრიდან აფრიკის, კარიბის ზღვის აუზის და წყნარი ოკეანის ქვეყნების მეცხრე სამიტიდან მოემართებოდა.

ავტოკოლონას გზა უვინალის ნიაბუტომ გადაუღობა, რომელსაც ხელში ეკავა პლაკატი, რომელშიც სამუშაოზე აყვანის თხოვნა ეწერა.

ბანერზე ეწერა: „თქვენო უდიდებულესობავ, გთხოვთ მოიღოთ მოწყალება და კენიის თავდაცვის ძალებში მიმიღოთ. პატიებას გთხოვთ თქვენი უსაფრთხოების დარღვევისთვის“. პოლიციამ მამაკაცი დააპატიმრა და პლაკატი ჩამოართვა. ნიაბუტო პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

# ტრამპი ავღანეთში დისლოცირებული სამხედრო კონტინგენტის შემცირებას აპირებს

ქაბულში ამერიკელი სენატორი გრემი ჩავიდა. ჟურნალისტებთან საუბრისას მან განაცხადა, რომ პრეზიდენტი ტრამპი ავღანეთში დისლოცირებული სამხედრო კონტინგენტის შემცირებას აპირებს.



– დღეს ავღანეთში 12.000 ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფება. მალე მათი რაოდენობა 8.000-მდე შემცირდება, – ამბობს გრემი.

სენატორმა ხაზი გაუსვა, რომ ავღანეთიდან ჯარის მთლიანად გამოყვანა არ მოხდება.

– საამისოდ სათანადო პირობები უნდა შეიქმნას, ანუ მოძრაობა „თალიბანმა“ აღებული ვალდებულებები უნდა შეასრულოს, – განაცხადა გრემმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ალიგატორს ნარკომანის შეჭმა არ აცალეს

ამერიკის ფლორიდის შტატის ხელისუფლებამ ალიგატორის მიერ ნაწილობრივ შეჭმული მამაკაცის დაღუპვის მიზეზი დაადგინა.

მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს პოლკის ოლქში, ფოსფორის ქარხნის მახლობლად მდებარე წყალსაცავში სამმეტრიანი ალიგატორი შენიშნეს, რომელსაც ყბებში მკვდარი მამაკაცის სხეული ეჭირა. მას მისი ბოლომდე შეჭმა არ აცალეს. მტაცებელი რეპტილია მოკლეს და გაკვეთის შემდეგ კუჭში ადამიანის ხელის მტევანი და ქუსლი იპოვეს. ეს სხეულის სწორედ ის ნაწილები იყო, რომლებიც დაღუპულის ცხედარს აკლდა.

დაღუპულის ვინაობის დადგენა მოხერხდა. ის 45 წლის მაიკლ ფორდ II აღმოჩნდა. თავდაპირველად ჩათვალეს, რომ ის წყალში დაიხრჩო, მაგრამ გაკვეთის შედეგად გაირკვა, რომ მისი დაღუპვის მიზეზი მეტამფეტამინით მოწამვლა გახდა. ალიგატორმა ნარკომანი უკვე გარდაცვლილი იპოვა.

# ბანკის შეცდომამ ქალი მილიონერად აქცია

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ დალასის მკვიდრმა ქალბატონმა რუთ ბალუნმა ბანკის შეცდომის შედეგად ერთ დღეში დამატებით 37 მილიონი დოლარი მიიღო.

რამდენიმე დღის წინ ქალმა ფეხსაცმლის მაღაზიაში მუშაობა დაასრულა და გადაწყვიტა, ბანკში საკუთარი ანგარიში შეემოწმებინა.

– იმედი მქონდა, რომ ვიღაცა ამ 37 მილიონ დოლარს ნამდვილად მაჩუქებდა, – აღნიშნა ბალუნმა.

მილიონერმა ქალმა განაცხადა, რომ იმის მოფიქრებაც კი მოასწრო, თუ როგორ განკარგავდა ამ თანხას: მის ნაწილს ქველმოქმედებას მოახმარდა, ხოლო დანარჩენს უძრავ ქონებაში დააბანდებდა. გარკვეული დროის შემდეგ მან მეუღლეს დამატებითი მილიონების შესახებ აცნობა.




მამაკაცმა ბანკში დარეკა, სადაც მას უპასუხეს, რომ შეცდომა იქნა დაშვებული. მათ ბოდიში მოიხადეს და ფულის გადარიცხვა გააუქმეს.

– მილიონერი ქალი ვიყავი. მე მაქვს სკრინშოტი, ასე რომ, ამის თქმა შემიძლია, – შენიშნა ხუმრობით ქალმა. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმედი აქვს, პატიოსანი ქმედებისთვის ბანკისგან წახალისებას მიიღებს. ბალუნს ესმის, რომ ასეთ თანხას ვერ დაიტოვებდა, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ბანკისგან მხოლოდ „მადლობა“ საკმარისი არ იქნება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# განცხადებები


**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ჩემპიონმა წელი პირველი ადგილით დაასრულა

### ყოჩები-ბათუმი 12:22

ბოლნისის ყოჩებმა მოუგებელი მატჩების სერია 10-მდე გაზარდა და ახალ წელს 13 ქულით, ბოლო ადგილზე ხვდება.

მე-11 ტურში ქვემოქართლელები ქვეყნის ჩემპიონს, ბათუმს მასპინძლობდნენ და ანგარიში თემო სოხაძემ ჯარიმით გახსნა, თუმცა პასუხად სტუმრებმა ბურთი ფრთაზე გაშალეს და ნიკა ნინიძემ ლელო ალამთან გაიტანა, ხოლო ბექა ურჯუკაშვილმა გარდასახა.

სოხაძემ მე-14 წუთზე ჯარიმით ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა. ურჯუკაშვილს საპასუხო დარტყმა დაახლოებით 25-ე წუთზე ახლო მანძილიდან გაუცუდდა. 3 წუთში ზღვისპირელებმა კიდევ ერთხელ გაშალეს შეტევა მარჯვენა ფრთაზე, დურმიშხან ჯაბნიძე მბოჭავმა ვერ შეაჩერა და ლელო ალამთან გავიდა, გარდასახვა კი მიზანს ასცდა – 6:12.

პირველი ტაიმის მიწურულს და მეორეს დასაწყისში გატანილი ჯარიმა-არეკნით, სოხაძემ წონასწორობა აღადგინა, მაგრამ მალევე ურჯუკაშვილმა ჯარიმით უპასუხა და ბათუმმა ლიდერობა დაიბრუნა. სოხაძეს კარის წინ 22 მეტრიდან ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი მე-60 და 78-ე წუთებზე ჰქონდა, თუმცა დარტყმები გაუცუდდა. 71-ე წუთზე კარის წინ 40 მეტრიდან ჯარიმა ურჯუკაშვილმაც ვერ გაიტანა, თუმცა მან შეცდომა ბოლო წუთზე გამოასწორა – ანზორ სიჭინავას კონტრშეტევას მიყვა, ლელო გაიტანა და გარდასახვით საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

### აკადემია-ხარები 27:27

ტურის ცენტრალურ მატჩში ფრე დაფიქსირდა. ლიდერთა ჯახში თბილისის აკადემიამ რუსთავის ხარებს „რაგბი პლატოზე" უმასპინძლა – 27:27.

ანგარიში მე-17 წამზე გაიხსნა. ბურთი თამაშში აკადემიამ შეიყვანა, მოიპოვა, თორნიკე ზოიძემ ხაზი სუფთად პირველსავე ფაზაში გაჭრა და ლელო გაიტანა, ხოლო დავით მოძღვრიშვილმა გარდასახა. ხარებმა რამდენიმე მწვავე შეტევით უპასუხა და 23-ე წუთზე ლელო გაიტანა. ბაქარ ზედგინიძემ აუტიდან გადმოვარდნილი ბურთი აიტაცა, ფინტებით მოკლე დისტანციაზე რამდენიმე მცველს გასცდა და ლამაზი ლელო გაიტანა. ზურა ქავთარაძემ გარდასახა და ანგარიში გაათანაბრა.

მოძღვრიშვილმა და ქავთარაძემ 29-ე და 31-ე წუთებზე ჯარიმები გაცვალეს, ტაიმი კი რუსთაველებმა მოიგეს. 38-ე წუთზე ირაკლი ჩომახაშვილმა მოლი ლელოთი დაასრულა, ხოლო ქავთარაძემ გარდასახა – 10:17.



მე-2 ტაიმი აკადემიას შეტევებით დაიწყო, 49-ე წუთზე გიორგი მიქანაძემ ცრუმოძრაობით ხაზი გაჭრა და ლელო გაიტანა, ხოლო მოძღვრიშვილმა გარდასახვით წონასწორობა აღადგინა. 62-ე წუთზე, ხანგრძლივი შეტევის შემდეგ, რუსთაველებმა ფრთაზე გაკეთებული გრძელი პასი ვერ ჩაჭრეს, ოვალი საბა ილურიძემ მიიღო და ლელო გაიტანა, ხოლო მოძღვრიშვილმა გარდასახა.

ხარებმა 3 წუთში უპასუხა, ზურა ქავთარაძემ ხაზი ცენტრში გაჭრა და თავისივე გატანილი ლელო გარდასახა. სტუმრები ბოლოსწინა წუთზე გიორგი ბასილაიას არეკნით დაწინაურდნენ, მაგრამ აკადემიამ მეტოქეს გამარჯვება არ დაანება, მოძღვრიშვილმა ბოლო წუთზე ჯარიმა გაიტანა – 27:27.

გაწითლებულ დროზე ხარებმა ცენტრიდან ჯარიმის გატანა სცადეს, მაგრამ დარტყმა არაზუსტი იყო და რუსთაველები 35 ქულით მე-2 ადგილზე დარჩნენ.

### ლელო სარასენსი-ლოკომოტივი 37:19

ლელო-სარასენსმა დედაქალაქურ დერბიში ლოკომოტივი დაამარცხა და ბონუსიც აიღო.

მასპინძლებმა გამარჯვება დასკვნით მეოთხედში გაიფორმა, მანამდე კი სტუმრები ლიდერობდნენ. დებიუტში ნიკა ასათიანმა და მერაბ კვირიკაშვილმა ჯარიმები გაცვალეს, მე-16 წუთზე კი ნიკა ჩილვინაძემ ლელო გაიტანა და ასათიანი გარდასახვიდან არ შეცდა.

შესვენებამდე კვირიკაშვილმა და ასათიანმა 2-2 ჯარიმა გაცვალეს, მე-2 ტაიმის დასაწყისში კი ასათიანმა ჯარიმით ანგარიში 19:9 გახადა. დარჩენილ დროში ლელო-სარასენსმა 4 უპასუხო ლელო გაიტანა.

პირველად თავი 48-ე წუთზე აკაკი ტაბუცაძემ გამოიჩინა; 59-ე წუთზე კვირიკაშვილი ფეხით შეცურებულ ბურთს შეყვა და ლელო-სარასენსი წინ გაიყვანა – 23:19; 65-ე წუთზე ტაბუცაძემ დუბლი შეასრულა, ხოლო 76-ზე ლელო ნიკა სვიმონიშვილმა გაიტანა და საკუთარ გუნდს ბონუსი მოუპოვა. კვირიკაშვილმა ყველა გარდასახა – 37:19.

ლელო-სარასენსს ამ მოგების შემდეგ 35 ქულა მოუგროვდა და ხარებთან 2-3 ადგილებს იყოფს, მაგრამ ურთიერთშეხვედრების გამო ჩამორჩება.

### აია-იუნკერები 46:3

ქუთაისის აიამ 2 თვისა და 9 დღის შემდეგ გამარჯვების გემო წლის ბოლო მატჩში გაიხსენა. რიონისპირელებმა დიდი 10-ის დებიუტანტ იუნკერებს უმასპინძლეს და ბონუსით სძლიეს.

აღსანიშნავია, რომ იუნკერებმა ბონუს-ქულით პირველი შეხვედრა დათმეს და ზედიზედ მეორე შეხვედრაში თავად ვერ შეძლეს ქულის აღება.

მასპინძლები გიორგი ბაბუნაშვილის 10 ქულით დაწინაურდნენ – ჯერ ლელო გაიტანეს, მერე გარდასახვა და ჯარიმა. რამაზ ხარაზიშვილმა თავისი გუნდის 3 ქულა 31-ე წუთზე, ჯარიმით აიღო, თუმცა იუნკერებმა შესვენებამდე 2 ლელო გაუშვეს. 5-5 ქულა თემურ კოხოძისა და გიორგი ნუცუბიძის ანგარიშზეა, ბაბუნაშვილმა კი ერთი გარდასახა – 22:3.

მეორე ტაიმში აიამ კიდევ 4 ლელო გაიტანა. თავი ლაშა შალიკაშვილმა, ლაშა ლომიძემ, გიორგი აბრამიძემ და სანდრო ფურცხვანიძემ გამოიჩინეს, ხოლო ბაბუნაშვილმა 2 გარდასახა.

### ჯიქი-არმაზი 24:12

გორის ჯიქმა მარნეულის არმაზი 24:12 დაამარცხა და წელი 3 გამარჯვებით დაასრულა.

მატჩი არმაზის შეტევებით დაიწყო, თუმცა ანგარიში ჯიქმა გახსნა – გიორგი კვესელაძემ საკუთარ 22-თან მეტოქის შეტევა ჩაჭრა და ლელომდე ირბინა, ხოლო რეზი ჯინჭველაშვილმა გარდასახა. მე-12 წუთზე სანდრო კალმახელიძემ კოტე მარჯანიშვილზე მაღალი ბოჭვა შეასრულა და სინბინით დაისაჯა, 4 წუთში კი მეტობა დიტო კალანდაძემ გამოიყენა, ჯინჭველაშვილის გარდასახვა კვლავ ზუსტი იყო – 14:0.

29-ე წუთზე ჯიქმა ვალი დააბრუნა – მეტოქის ნახევარზე, მარცხენა ფრთაზე შეტევაში დაკარგეს ბურთი, რომელსაც ფეხი 2-ჯერ წაკრა ნიკა გიგაურმა, აიტაცა და ძელებსშუა გატანილი ლელო ლუკა მატკავამ გარდასახა. კალანდაძემ 2 წუთში დუბლით უპასუხა, რომელიც ასევე მცველის შეცდომას მოყვა – 19:7.

მე-2 ტაიმი 5 წუთის დაწყებული იყო, როდესაც დუბლი გიგაურმაც შეასრულა, რომელიც საკუთარ ნახევარზე მბოჭავს გაექცა, ლელომდე ველარავინ დაეწია და სხვაობა 7 ქულამდე დაიყვანა. მერე დამრტყმელებმა ჯარიმები გააფუჭეს, 65-ე წუთზე კი, მარჯანიშვილმა მცველს შემოურბინა, ლელო გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 24:12.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბათუმი | 11 | 7 | 2 | 2 | 213-111 | 37 |
| 2.ხარები | 11 | 7 | 1 | 3 | 277-205 | 35 |
| 3.ლელო | 11 | 7 | 1 | 3 | 254-183 | 34 |
| 4.აკადემია | 11 | 7 | 1 | 3 | 229-159 | 33 |
| 5.აია | 11 | 5 | 2 | 4 | 256-149 | 31 |
| 6.ჯიქი | 11 | 7 | 0 | 4 | 207-225 | 29 |
| 7.არმაზი | 11 | 3 | 1 | 7 | 140-270 | 15 |
| 8.ლოკომოტივი | 11 | 3 | 1 | 7 | 165-310 | 15 |
| 9.იუნკერები | 11 | 2 | 0 | 9 | 167-239 | 15 |
| 10.ყოჩები | 11 | 1 | 3 | 7 | 195-252 | 13 |

# უეფამ გია ცეცაძე 5 მატჩით დასაჯა



სადისციპლინო კომიტეტმა საქართველოს და სლოვაკეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი განიხილა და სანქციები გამოიტანა.

სადისციპლინო კომიტეტმა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ერთი მატჩით დაისაჯა სამწვრთნელო შტაბის კიდევ ერთი წევრი, ირაკლი მანია. 3 მატჩით დასაჯეს სლოვაკი ჯოზეფ შტიბერი – მიზეზი არასპორტული საქციელია. გარდა ამისა, საქართველოსა და სლოვაკეთის ფეხბურთის ფედერაციები 6.750 ევროთი დააჯარიმეს.

შეგახსენებთ, 15 ნოემბერს, სლოვაკეთთან 21-წლამდელთა ევროშესარჩევის გასვლითი მატჩის დასასრულს გიორგი კუცია აუტის მოსაწოდებლად ბურთს იღებდა, მეტოქე გუნდის მეკარეთა მწვრთნელმა შტიბერმა უკნიდან ხელი ჰკრა და ფეხი გამოსდო, ეს ცეცაძემ ვერ მოითმინა და ჩხუბი ატყდა. შედეგად, მსაჯმა ცეცაძეს წითელი ბარათი უჩვენა.

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს 2020 წელს ევროშესარჩევი ციკლის დასრულებამდე 5 შეხვედრა აქვს დარჩენილი – შინ სლოვაკეთთან, საფრანგეთთან, შვეიცარიასა და აზერბაიჯანთან, ხოლო სტუმრად ლიხტენშტაინთან. ეს ნიშნავს, რომ ცეცაძე მიმდინარე შესარჩევში გუნდს ველარ გაწვრთნის.

თუ ცეცაძემ თანამდებობა დატოვა, სასჯელი ამნისტირებული არ იქნება, რადგან სადისციპლინო კომიტეტის სანქცია უეფას ეგიდით ჩატარებულ ყველა ტურნირზე ვრცელდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შედეგები

**16 დეკემბერი**
**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

კრ.პალასი-ბრაიტონი .................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 17 | 16 | 1 | 0 | 42-14 | 49 |
| 2.ლესტერი | 17 | 13 | 2 | 2 | 40-11 | 39 |
| 3.სიტი | 17 | 11 | 2 | 4 | 47-19 | 35 |
| 4.ჩელსი | 17 | 9 | 2 | 6 | 31-25 | 29 |
| 5.ტოტენჰემი | 17 | 7 | 5 | 5 | 32-24 | 26 |
| 6.მანჩესტერი | 17 | 6 | 7 | 4 | 25-20 | 25 |
| 7.შეფილდი | 17 | 6 | 7 | 4 | 21-16 | 25 |
| 8.ვულვზი | 17 | 5 | 9 | 3 | 24-21 | 24 |
| 9.კრ.პალასი | 17 | 6 | 5 | 6 | 15-19 | 23 |
| 10.არსენალი | 17 | 5 | 7 | 5 | 24-27 | 22 |
| 11.ნიუკასლი | 17 | 6 | 4 | 7 | 17-24 | 22 |
| 12.ბარნლი | 17 | 6 | 3 | 8 | 22-29 | 21 |
| 13.ბრაიტონი | 17 | 5 | 5 | 7 | 21-25 | 20 |
| 14.ბორნმუთი | 17 | 5 | 4 | 8 | 19-24 | 19 |
| 15.ვესტ ჰემი | 17 | 5 | 4 | 8 | 19-28 | 19 |
| 16.ევერტონი | 17 | 5 | 3 | 9 | 20-29 | 18 |
| 17.ასტონ ვილა | 17 | 4 | 3 | 10 | 23-30 | 15 |
| 18.საუთჰემპტონი | 17 | 4 | 3 | 10 | 18-36 | 15 |
| 19.ნორვიჩი | 17 | 3 | 3 | 11 | 18-35 | 12 |
| 20.უოტფორდი | 17 | 1 | 6 | 10 | 9-32 | 9 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დარმშტადი-შტუტგარტი .............. 1:1

**იტალია. სერია ა**

კალიარი-ლაციო ............................. 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 16 | 12 | 3 | 1 | 32-14 | 39 |
| 2.იუვენტუსი | 16 | 12 | 3 | 1 | 29-16 | 39 |
| 3.ლაციო | 16 | 11 | 3 | 2 | 38-16 | 36 |
| 4.რომა | 16 | 9 | 5 | 2 | 29-16 | 32 |
| 5.კალიარი | 16 | 8 | 5 | 3 | 32-21 | 29 |
| 6.ატალანტა | 16 | 8 | 4 | 4 | 38-25 | 28 |
| 7.პარმა | 16 | 7 | 3 | 6 | 23-19 | 24 |
| 8.ნაპოლი | 16 | 5 | 6 | 5 | 25-21 | 21 |
| 9.ტორინო | 16 | 6 | 3 | 7 | 21-24 | 21 |
| 10.მილანი | 16 | 6 | 3 | 7 | 16-19 | 21 |
| 11.ბოლონია | 16 | 5 | 4 | 7 | 25-27 | 19 |
| 12.ვერონა | 16 | 5 | 4 | 7 | 17-20 | 19 |
| 13.ფიორენტინა | 16 | 4 | 5 | 7 | 20-24 | 17 |
| 14.სასუოლო | 15 | 4 | 4 | 7 | 26-27 | 16 |
| 15.ლეჩე | 16 | 3 | 6 | 7 | 20-31 | 15 |
| 16.სამპდორია | 16 | 4 | 3 | 9 | 13-25 | 15 |
| 17.უდინეზე | 16 | 4 | 3 | 9 | 11-27 | 15 |
| 18.ბრეშა | 15 | 4 | 1 | 10 | 13-26 | 13 |
| 19.ჯენოა | 16 | 2 | 5 | 9 | 17-31 | 11 |
| 20.სპალი | 16 | 2 | 3 | 13 | 10-25 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

ტრაპანი-პიზა ................................. 1:3

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

გენგამი-ტრუა ................................. 0:1

**პორტუგალია. პრემიერ ლიგა**

სანტა კლარა-სპორტინგი ............. 0:4

პორტუ-ტონდელა ......................... 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაქშეჰირი-ქონია ....................... 1:1

ტრაბზონი-დენიზლი ...................... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

კოპენჰაგენი-ოდენსე ..................... 2:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## მიმოზა ჩიქოვანი-ტაბაღუას

### გახსენება



ჩემო ძვირფასო და უსაყვარლესო მიმოზა! თავზარდამცემი იყო ჩემთვის შენი უდროოდ წასვლა ამ ქვეყნიდან 2018 წლის 18 დეკემბერს. ელვის სისწრაფით გაირბინა ამ უმძიმესმა ერთმა წელიწადმა. ამ ხნის განმავლობაში ტკივილი კი არ გამნელებია, პირიქით, უფრო გამიღრმავდა და ვეებერთელა სიცარიელე დამიტოვა.

მიმოზა! შენ დააკლდი ყველას, ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, დედმამიშვილებს, სისხლხორც ნათესავებს, პედაგოგთა კოლექტივს, აღსაზრდელებს, სამეგობროს, სამეზობლოს, მთელ საზოგადოებას, ვინც კი გიცნობდა, მაგრამ ყველაზე მეტად დამაკლდი მე. ვერ ვიტყვი, რომ არ ვარსებობ, მაგრამ გეტყვი, ჩემი საზრიანი სიცოცხლე დასრულდა შენი გარდაცვალების დღიდან. ამ დღიდან ჩემს სიცოცხლეს ჰქვია სულის ტანჯვა, გულის გაქვავება, ფიქრები და დარდი. გაუსაძლისია უშენობა, შენ შემდეგ ჩემი ცხოვრება ტკივილისა და მონატრების უსასრულო დღეებია. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მენატრება შენი ღიმილი, იუმორი, მოფერებისა და სიყვარულის ნიჭი, რომელიც შენს სულიერებას ამკობდა და ჩემს ცხოვრებას ალამაზებდა. შენ იყავი საოცარი თბილი გულის ბუნებით გამორჩეული, ყველას პატრონი და მომფერებელი, ამიტომ უყვარდი ყველას.

დღეს ამ სიყვარულით შეკრებილი მრავალრიცხოვანი შენი მოსიყვარულე და პატივისმცემელი ადამიანები ლოცვითა და სიყვარულით პატივს მიაგებენ შენი ცხოვრების მაგალითს, ოჯახისადმი ერთგულებას, უანგარობას, პროფესიონალიზმსა და კოლეგიალობას, შენს შემოქმედებას, რომ როგორც სულით და ფიზიკურად ძლიერმა ადამიანმა, შენ შეასრულე შენი მოვალეობა ამ მიწაზე და სჯერათ, ახლა განაგრძობ დიად სვლას სხვა სამყაროში. გისურვებენ ძლიერ სიმტკიცეს, რომ სასუფეველში მიმავალ გზაზე ქრისტე ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი და მარად მღვიძარე სული!

*გულდაწყვეტილი მეუღლე ვლადიმერ ტაბაღუა*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 2. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 3. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 4. ნახშირბადის შემცველი მტკიცე ლითონი; 6. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 9. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ხავერდის მსგავსი, ხშირხაოიანი ბამბის ქსოვილი; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 16. უბანი ძველ თბილისში; 17. მდინარე აშშ-ში; 19. საფოსტო გზავნილება; 21. თეთრეულის, ტანსაცმლის მოსართავად გამოყენებული ორნამენტებიანი თხელი ბადურა ქსოვილი; 22. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში.

**თარაზულად**: 5. ქართველი მოქანდაკე ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. მთიანეთი ევროპაში; 10. ფრანგული სამოდელო ფირმა; 12. ღვინის დანალექი; 13. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 14. ქრისტიანული ღვთისმეტყველების გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 18. მამათა მონასტერი; 20. ქართული ნაციონალური კერძი; 23. ბოძების მიწაში ჩასარჭობი მექანიკური მოწყობილობა; 24. ეგრისის მეფე; 25. პოპულარული კურორტი შვეიცარიაში; 26. მშენებლობაში გამოყენებული თიხისა და თაბაშირის გამომწვარი ნარევი; 27. ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. უშტი; 2. რიონი; 3. ხვიფლი; 5. რკალი; 6. საფერავი; 8. სარწყუნისი; 10. აზურიტი; 12. კუბდარი; 14. ალმაზი; 15. ფინიკი; 16. წნევა.

**თარაზულად:** 1. უშქარი; 4. კრიზისი; 7. სტოუნი; 9. ლორისი; 11. პრიკაზი; 12. კაჭარავა; 13. თრომბი; 17. ბულიტი; 18. ეირე; 19. ბრილიანტი; 20. პირამიდა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვეძისი; 2. კამიუ; 3. სტიაუა; 4. ნატალი; 6. მირიანი; 9. წუნდა; 11. პეტარდა; 15. რეზიდენტი; 16. ჟიგული; 17. ნატამალი; 19. ანალიზი; 21. რეგენტი; 22. დელიბი.

**თარაზულად:** 5. სერენადა; 7. იროკეზი; 8. ატლასი; 10. ბულბული; 12. ლოიდი; 13. ეკერი; 14. ანდერსენი; 18. აბაშა; 20. დინარი; 23. ბერდია; 24. გემა; 25. მალამო; 26. ბოტი; 27. ეტიკეტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 დეკემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9044

ევრო — 3.2396

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8341

100 რუსული რუბლი — 4.5941

## ამინდის პროგნოზი 18 დეკემბერი







## 17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

## მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები

**ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი**

## საქართველო ქუთაისში შეიკრიბება

საქართველო 15-ის სამწვრთნელო შტაბმა ის 35 მორაგბე შეარჩია, რომლებიც 2020 წლის იანვარში, არგენტინული ტურნესთვის მოემზადებიან.

გაფართოებულ შემადგენლობაში 21 მორკინალი და 14 ხაზის მოთამაშეა. აქცენტი ამჯერადაც დიდი 10-ის კლუბების მორაგბეებზე გაკეთდა, თუმცა წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად გაფართოებულ შემადგენლობაში 2 ლეგიონერია, ორივე მარჯვენა ბურჯი – ნიკა პატარაია ბუქარესტის დინამოდან და ანტონ ფეიქრიშვილი, რომელიც ბოლოს ფრანგულ აჟენში თამაშობდა და კონტრაქტი ცოტა ხნის წინ დაუმთავრდა.



გაფართოებულ შემადგენლობაში ყველაზე მეტი, 9 მორაგბე, საქართველოს ჩემპიონი ბათუმიდანაა; 5 მორაგბითაა წარმოდგენილი გორის ჯიქი; 4-4 მორაგბეა თბილისის აკადემიიდან, ლელო-სარასენსიდან და ქუთაისის აიადან; 3 – რუსთავის ხარებიდან; 2 – მარნეულის არმაზიდან; თითო-თითო ბოლნისის ყოჩებიდან და იუნკერებიდან. ერთადერთი გუნდი, რომელსაც არც ერთი მორაგბე არ ჰყავს გაფართოებულ შემადგენლობაში, ლოკომოტივია.

35 მორაგბე პირველ შეკრებაზე 23 დეკემბერს, ქუთაისში შევა და იქ 30 დეკემბრამდე დარჩება. ახალ წელს ბიჭები შინ შეხვდებიან და მეორე, ერთკვირიან შეკრებაზე, სავარაუდოდ, ისევ ქუთაისში, 4 იანვარს შევლენ.

ჩვენები 30-კაციანი შემადგენლობით არგენტინაში 11 იანვარს მიემგზავრებიან და ხაგუარესთან, რომელიც ზე-რაგბის ახალი სეზონისთვის ემზადება, პირველ თამაშს 17 იანვარს მარ-დელ-პლატაში გამართავს. მეორე შეხვედრა 24 იანვარსაა დანიშნული და ჯერჯერობით უცნობია, სად ჩატარდება ეს თამაში.

საქართველო 15-ის გაფართოებული შემადგენლობა ასე გამოიყურება.

შერკინება: ნიკა აბულაძე, ზურაბ ერისთავი, ბექა გვარამია, გოგა ხუროშვილი, ბექა მამრიკიშვილი, გიორგი ჭყოიძე, რევაზ წიკლაური, შოთა გოგისვანიძე, ნიკა პატარაია, ანტონ ფეიქრიშვილი, ვანო ბერიკაშვილი, მიხეილ ბაბუნაშვილი, სანდრო ქოიავა, თორნიკე ზოიძე, არჩილ აბესაძე, ვანო ფუტკარაძე, გიორგი მჭედლიშვილი, თორნიკე კიკნაძე, დაჩი კოპაძე, კობა ჯიმშელეიშვილი, გურამ შენგელია;

ხაზი: ვაჟა ხუციშვილი, კობა ბუჯიაშვილი, რეზი ჯინჭველაშვილი, დავით მოძღვრიშვილი, გიორგი ბაბუნაშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, აკაკი ტაბუცაძე, ნიკა გიგაური, გურამ ქანდაურაშვილი, გიორგი ნათელაშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ანზორ სიჭინავა, ლევან ნარიმანიძე, ირაკლი სვანიძე.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:
– გინდა სექსი მშვენიერ ფერადკანიანთან?
– ჰო, მინდა!
– მაშინ სოლარიუმისთვის ფული მომეცი!

•••

კლიენტი გამყიდველს ეუბნება:
– გუშინ თქვენთან თევზი ვიყიდე და ძველი გამოდგა.
– უცნაურია, პირდაპირ ზღვიდან მოიტანეს.
– მაშინ, როგორც ჩანს, ფეხით წამოსულა, თანაც სიცხეში.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი წუწუნებს:
– მამისთვის ყური უნდა დამეგდო, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მისთვის უნდა მომესმინა! მე სულელი კი არ ვუსმენდი...
– და რას გეუბნებოდა?
– რა ჯანდაბა ვიცი, ხომ ვთქვი, არ ვუსმენდიიი...

•••

ორი თანაკლასელი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– სკოლას რომ დაამთავრებ, სად აპირებ სწავლის გაგრძელებას?
– სამედიცინოზე. თერაპევტი გამოვალ.
– როგორ გამაცინე, შენ ხომ არაფერი გაგეგება. შენისთანა ექიმს ახლოსაც არ გავეკარები.
– მე ვთქვი, რომ თერაპევტი გამოვალ და არა ვეტერინარი...

•••

მასწავლებელი მათემატიკის გაკვეთილზე გიგის ეკითხება:
– წარმოიდგინე, რომ 200 ლარი მოგეცი. შენ 50 ლარი მიეცი მაყვალას, 50 ლამარას და 50 ნაზის, შენ რა გექნება?
– ორგია...

•••

კაცმა წარუმატებელი თევზაობის შემდეგ მაღაზიაში შეიარა და გამყიდველს ეუბნება:
– სამი ცალი ახალი ჭანარი ამიწონე.
– შენმა ცოლმა კი დამირეკა და მითხრა, რომ დღეს კალმახი დაგიჭერია.

•••

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:
– გუშინ მაღაზიაში ვიყავი და ერთი ბოთლი ვისკი ვიყიდე. მერე დავფიქრდი, რომ ხომ შეიძლება, გზაში ბოთლი გამივარდეს და გამიტყდეს. ავდექი და იქვე დავლიე...
– მერე?
– მართალი გამოვდექი, სანამ სახლამდე მივიდოდი, გზაში ხუთჯერ მაინც წავიქეცი.

## ლენი კრავიცი თბილისში კონცერტს გამართავს




ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო და ლეგენდარული როკვარსკვლავი ლენი კრავიცი თბილისში კონცერტს გამართავს.

მომღერალი მსოფლიო ტურნეს იწყებს და საკონცერტო ქალაქებში საქართველოს დედაქალაქიც მოხვდა.

2020 წლის 31 მაისს თბილისში მიხეილ მესხის სტადიონზე გაიმართება კონცერტი და საქართველოდან დაიწყება ლენი კრავიცის ევროპის ტური. როგორც კონცერტის ორგანიზატორები აღნიშნავენ, საკმაოდ შრომატევადი და გრძელვადიანი იყო მოლაპარაკება და თანხმობა მიღწეულია.

მუსიკოსი სტადიონზე შეკრებილი მსმენელისთვის შეასრულებს სიმღერებს როგორც ბოლო ალბომიდან, ისე მსოფლიო ჰიტებს 30-წლიანი მუსიკალური კარიერიდან.

ლენი კრავიცის კონცერტზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა 18 დეკემბერს დაიწყება და მინიმალური ფასი 95 ლარი იქნება.

## გოჩა ჩერტკოევი „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გარდაცვალების გამო „იმედს“ უსამძიმრებს



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ წინა სეზონების ჟიურის ყველაზე მკაცრი წევრი გოჩა ჩერტკოევი ტელეკომპანია „იმედს“ პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გარდაცვალების გამო უსამძიმრებს:

– ჭკუამკვდარ წლევანდელ ტვ იმედის ჯგუფს ვუსამძიმრებ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გარდაცვალების გამო. იდიოტებო!

## „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ მაგდალენა ჯოხაძე გაუშვეს

„ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ მომღერალი მაგდალენა ჯოხაძე გაუშვეს. ის და მისი მეწყვილე ლევან ახვლედიანი შოუს დასასრულს გავარდნის კანდიდატები დავით თარგამაძესთან და ჯულიანა ბარგნართან ერთად აღმოჩნდნენ.

ერთწუთიანი ხმის მიცემის ამოწურვის შემდეგ შოუ მაგდალენა ჯოხაძემ და ლევან ახვლედიანმა დატოვეს. კონკურსანტებმა ჟიურისთვის ორ-ორი ნომერი წარმოადგინეს.

მომდევნო საკონკურსო ტური ქართულ ცეკვას დაეთმობა და „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილეები სუხიშვილებთან ერთად ქართული კულტურის საგანძურს წარმოადგენენ.

## კახური სიმღერის უკანასკნელი მოჰიკანი ანდრო სიმაშვილი გარდაიცვალა

კახური სიმღერის უკანასკნელი მოჰიკანი, არაერთი თაობის აღმზრდელი ანდრო სიმაშვილი 96 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ინფორმაცია მომღერალმა გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა:

– კახური სიმღერის უკანასკნელი მოჰიკანიც გარდაიცვალა – ანდრო სიმაშვილი. მრავალი თაობის აღმზრდელი, სიცოცხლის ბოლო წუთამდე საქართველოზე მოფიქრალი კაცი, ჩვენი პედაგოგი და მეგობარი.

ანდრო სიმაშვილის გარდაცვალებით დასრულდა ეპოქა, სადაც ის წარსულის მარგალიტებს უხვად აფრქვევდა და გვასაჩუქრებდა.

ანდრო პაპას გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოსთვის, დანაკლისია მათთვის, ვინც იცის ქართული ხალხური სიმღერის ფასი.

დიდი მადლობა მას ღირსეული ცხოვრებისთვის, მადლობა, რომ გვასწავლა, გვარიგებდა და მუდამ ჩვენ გვერდით იდგა.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა!



ქართულ ხალხურ სიმღერაზე უზომოდ შეყვარებული ანდრო სიმაშვილი დარწმუნებული იყო, რომ მომღერალი კაცი ბოროტი ვერ იქნება:

– მე ცხოვრების გრძელი გზა გამოვიარე, პატიოსანი კაცის სახელი მოვიპოვე, არავისთვის მიკადრებია ცუდი, ყოველთვის სიმღერით გამიქარწყლებია. დღემდე ასეთად ვრჩები. მომღერალი კაცი ბოროტი ვერ იქნება, პირიქით, შრომისმოყვარეა, გულღია, კარგი მასპინძელია. სიმღერით ვცხოვრობ. სიმღერაა ჩემი სული, გული, ჩემი სიცოცხლის გასაღები. ჩემი საყვარელი სიმღერა ჩემს ცხოვრებას ჰგავს, ესაა, სოფლელი გლეხის შვილი ვარ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 18 დეკემბრისათვის



**ვერძი** – ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეგიძლიათ. კეთილისმყოფელი დღეა სულიერი სრულყოფისათვის. **კურო** – დაიტვირთეთ ფიზიკურად, დაკავდით სპორტით. ერიდეთ კამათს მეგობართან. **ტყუპები** – ეცადეთ, დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ. გამორიცხული არ არის რომანტიკული შეხვედრა ან ვახშამი ახლობლების წრეში. **კირჩხიბი** – თავს მშვიდად და ენერგიულად გრძნობთ. ახალი ნაცნობობა ხალისს შეგმატებთ. **ლომი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ინტუიცია არ გიღალატებთ. ხელმძღვანელობასთან კამათს ერიდეთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. თუ გაწყენინეს, დიდსულოვნება გამოიჩინეთ და აპატიეთ. **სასწორი** – მეტი დრო დაუთმეთ პარტნიორულ ურთიერთობებს. კეთილსინდისიერება და პასუხისმგებლობა დღის დევიზია. **ღრიანკალი** – ფულს ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ. საყიდლებზე წასვლა სამომავლოდ გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ავანტიურისტებს. ოპტიმიზმი პირად ცხოვრებაში შექმნილი კრიზისის დაძლევაში დაგეხმარებათ. **თხის რქა** – პროფესიონალურ სფეროში ან პირად ცხოვრებაში მოულოდნელად სიძნელეები შეგხვდებათ. ჩანაფიქრის განხორციელებაში მეგობრები დაიხმარეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ახლობლებს ნუ დაივიწყებთ. დაეხმარეთ მათ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. შექმნილი ვითარება გეგმების შეცვლას გაიძულებთ. დღის მეორე ნახევარი მშვიდი და ჰარმონიული იქნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 2. ოპერა „ტრავიატა“-ს მუსიკის ავტორი; 3. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 5. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 6. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 10. უწესრიგობა, ქაოსი; 12. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 14. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 15. ტბა სომხეთში; 16. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი.

**თარაზულად**: 1. მდინარე პრაღაში; 4. ხორვატიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალი“-ს ფეხბურთელი; 7. გულუხვი მასპინძელი; 9. კოლუმბიის დედაქალაქი; 11. საავადმყოფოს სახელწოდება ძველად საქართველოში; 12. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; 13. საზღვაო მოგზაურობა; 17. ინგლისელი მწერალი დების გვარი; 18. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 19. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 20. მხარეთა წონასწორობის პრინციპი კონფლიქტის განხილვისას.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

